

საბჭოეთის საგარეო ურთიერთობები

ს. ს. ს. წ.
რუსეთის
ფრანკონიული
ფრანკონი

→ შინაგარეობა ←

მეთაური.—სადღესო საკითხები.

ი. აფაქიძე.—ქონებრივი დანაშაული 1928 წ. სისხ. სამ. კოდექსში.

ივ. სურგულაძე.—სისხლის სამართლის ახალი კოდექსის ზოგადი ნაწილის შესახებ.

ი. მახხულია.—საჭიროა თუ არა სათემო სასამართლოების შექმნა?

მ. ხერხეულიძე.—კომლის ქონების განაწილების ერთი მომენტი.

კ. პლეტნიკოვი.—სასამართლოს ბაჟისგან განთავისუფლება იმ სარჩელისა, რომელიც გადაცემულ იქნა სამოქ. სამართალში სისხ. სამ. სასამართლოდან ს. ს. კ. 17 მუხ. თანახმად.

ბ. დადიანი.—იურიდიული და ფაქტიური სიმართლე და დამცველი.

ბ. ფურცხვანიძე.—საკასაციო ინსტანციაში საქმის ახალ გარემოებაზე მითითება.

ა. გასიევი.—შიში 109 და 111 მუხლი ს. ს. კ. ტერმინოლოგიის მასალისათვის.

პ. ქავთარაძე.—თვით მასალა. სასამართლო და ცხ. უკრება.

ს. ქავთარაძე.—მოკლე ცნობები დუშეთის მაზრის პროკურორის საქმიანობიდან.

ჭრუნიაძე.

ფოსტა.

კანონმდებლობის მიმოხილვა.

ოფიციალური ნაწილი.

№ 11

1 ივნისი
1928

1928 წლის 1 იანვრიდან

გ ა მ ო დ ის ს. ს. ს. რ. იუსტიციის სსსსლსო კომისარიატის

ორკვირეული ორგანო

„ს ა ბ ჯ ო ტ ა ს ა მ ა რ ტ ა ლ ი“

„საბჭოთა სამართალი“

ისახავს მიზნად გაუწიოს იდეური ხელმძღვანელობა იუსტიციის მუშაკებს და გააუქმოს სასამართლო-უფლებრივი საკითხები, როგორც თეორიული აგრეთვე პრაქტიკული ხასიათისა საბჭოთა კანონმდებლობის და ხელისუფლების პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიხედვით.

„საბჭოთა სამართალი“

დიდ ყურადღებას აქცევს სასამართლო მუშაობის პრაქტიკულ მხარეს და დაეხმარება სასამართლოს დარგში ყველა ომუშავეთ საანადო მასალის მიწოდებით. ადამ საკითხების განმარტებით, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვით, კადექსების სხვა და სხვა მუხლების ახსნა-განმარტებით და კომენტარებით

„საბჭოთა სამართალი“

დიდ ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე სასამართლო დაწესებულებებში ბიუროკრატიზმთან ბრძოლას და დაუნდობლად ამხელს იუსტიციის მუშაკთა უარყოფით მხარეებს.

ჟურნალში დათმობილი აქვს ადგილი კენიტიანციაკულ, სამილიციო და სისხლის სამართლის სამკარო მილიციის მუშაობას.

გარდა თემრეშიული და პრაქტიკული ხასიათის წერილებისა ჟურნალში არის აგრეთვე

შედეგი განყოფილებები:

საბჭოთა კანონმდებლობის მიმოხილვა, სასამართლოს ცხოვრება, მკრიკა, გივლიოგრაფია, იურიდიული დახმარება (კითხვა-პასუხი), ოფიციალური ნაწილი (დადგენილებები, განმარტებები, ინსტრუქციები, ცირკულარები), ფოსტა, განცხადებები და სხვ.

ჟურნალში თანაგვრეგლგან შედეგი ამხანაგები:

(ანბანზე)

ალხოვი ა., ამალღობელი ს., ანდრონიკაშვილი ლ., ბაზოვი გ., გაბაშვილი დ., გაღუხტიანი ა., დოლიძე თ. ვარდანიანი ს., ვარძიელი ი., ვაჩიშვილი ა., იუზბაშვილი გ., კაჭარავა ა., კოსტავა ა., კუსიკოვი ა., ლუნკევიჩი ვ., მახარაძე ფ., მესხიშვილი შ., მიქელაძე კ., ნანეიშვილი გ., ნუცუბიძე შ., პავლიაშვილი ი., პლეტნიკოვი კ., როინაშვილი ი., რცხილაძე გ. სიჭინავა ი., სურგულაძე ი., ტალახაძე ი., ტატიშვილი ე., ურუშაძე ა., ქავთარაძე პ., ქორქაშვილი მ., შავერდოვი ა., შურღაია ლ., ჩხეიძე ს., ჯაფარიძე ს. და სხვ.

პასუხისმგებელი რედაქტორი: ი. ვარძიელი

სარედაქციო კოლეგია: ა. კაჭარავა, თ. დოლიძე, ა. ურუშაძე, პროფ. შ. ნუცუბიძე, ი. როინაშვილი, ს. ჯაფარიძე, კ. მიქელაძე, პ. ქავთარაძე

ხელის მოწერის ფასი: წლიურად—10 მან., 6 თვით—5 მ. 50 კაპ., 3 თვით—3 მ.

ფასი თითო ნომრისა—50 კაპ.

სამ თვეზე ნაკლები ხელისგორწარა არ მიიღება.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, ტრიბუნალის ქ. № 32 ტელეფონი № 13—68.

საბჭოთა საბარბო



რედაქციის და კანტორის
მისამართი:

თბილისი, ტრიაშნალის
ძ. № 32

ტელ. № 13-68

ხელისმძვინკის უსი:

წლიურად — 10 მან.

6 თვით — 5 მ. 50 კ.

3 თვით — 3 მ.

1 ნომერი 50 კ.

№ 11

1928 წ.

№ 11

სადღიისო საპითხეგი

ჩვენ ჟურნალში გახსნილია დისკუსია უაღრესად მნიშვნელოვან საკითხების შესახებ, როგორცაა პროცესის გამარტივება, წვრილმან სამოქალაქო და სისხლ. სამ. საქმეებისათვის სათემო სასამართლოების დაარსება, საადგილმამულო საქმეების საერთო სასამართლოზე გადაცემა და სხვ. აღძრულ საკითხების სათანადოდ გადაწყვეტას სჭირდება დიდი მუშაობა და სასამართლოს მუშაკების ამ მუშაობაში მხურვალე მონაწილეობის მიღება.

ცხოვრება ისეთი ტემპით ვითარდება, რომ ძნელი ხდება შესაფერ კანონპროექტების დამუშავება თუ ამ მუშაობაში ამა თუ იმ სახით არ იქნენ ჩაბმულნი ის მუშაკები, რომლებიც მომქმედ კანონების შეფარდების დროს ააშკარავენ მათ ნაკლს და მასთან აუცილებლობას კანონში ისეთ ცვლილებების შეტანისას, რომლებიც აადგილებენ ცხოვრების მოწესრიგებას. შემჩნეული ნაკლის გამოსასწორებლად არ არის საკმარისი ვთქვათ, რომ კანონი უნდა შეიცვალოს, რადგან კანონი შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ საქმე მაინც არ გამოსწორდეს. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა აღძრულ საკითხების შესახებ დაგროვილ იქნეს შესაფერი მასალა, აშენებული გამოცდილებაზე და სათანადო სასამართლოს პრაქტიკაზე; საჭიროა ამა თუ იმ პრაქტიკული წინადადების წამოყენება არა განყენებულად, არამედ პრაქტიკულ მოთხოვნებთან შეფარდებით. შეიძლება მომხიბლავი იყოს ესა თუ ის მოსაზრება და წინადადება, მაგრამ ის შორს იდგეს პრაქტიკულ საჭიროებისაგან. ამიტომ დიდი ყურადღება გვმართებს საქმისადმი, რომ წამოყენებული ამოცანები სრულად იქნეს დამუშავებული.

ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე წამოყენებულ საკითხებს შორის ზოგიერთმა მიიპყრო სასამართლოს მუშაკების დიდი ყურადღება. სადისკუსიო წერილების რიცხვში საბატიო ადგილი დაიკავა წვრილმან სამოქ. და სისხლ. სამ. საქმეებისათვის სათემო სასამართლოების დაარსების საკითხმა. ასეთ სასამართლოს შეიძლება შევხედოთ საერთოდ სასამართლოს განტვირთვის თვალსაზრისით, მაგრამ ეს არ იქნება ამ სასამართლოს დაარსების გამართლება. ცალკე სასამართლოს შემოღებას მტკიცედ განსაზღვრულ საქმეებზე უნდა მივუდგეთ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად ამით ხელს შეუწყობთ ასეთი საქმეების ადგილობრივ და სწრაფი ტემპით განხილვას, რემდენად შევძლებთ მართლმსაჯულების ინტერესი დაჯიცვათ და მასთან თავიდან ავაცდინოთ გლეხობას აუნაზღაურებელი

დროს დაკარგვა, ხარჯი, და აუცილებლობა, მოსცილდეს თავის მეურნეობას სასოფლო-სამეურნეო მუშაობის წარმოების დროს იმისათვის, რომ საკუთარი საქმის განხილვას დაესწროს თავისი სოფლისაგან შორს მყოფ სასამართლოში. ასეთ სასამართლოს არსებობაში უნდა იქნენ დაინტერესებული არა მარტო მხარეები, არამედ ის გლეხებიც, რომლებიც გამოიწვევიან მოწმეებად. აშკარაა, რომ საჭიროა სასამართლოს დაახლოება გლეხობასთან. ასეთი მიზნის მიწლევა შეიძლება სახალხო სასამართლოების ქსელის გაფართოებით, მაგრამ ამისათვის უნდა იყოს მატერიალური შესაძლებლობა. ამიტომ როდესაც ასეთი შესაძლებლობა არ არის, უნდა გამოვინახოთ შექმნილი მდგომარეობიდან ისეთი გამოსავალი, რომელიც არ ეწინააღმდეგებოდეს მართლმსაჯულების ინტერესებს და ამავე დროს აკმაყოფილებდეს გლეხობის მოთხოვნებებსაც.

შეიძლება ითქვას, რომ არ მოიპოვება არავითარი დაბრკოლება ზოგიერთ საგლეხო საქმეებზე ცალკე სასამართლოს დასაარსებლად. მაგრამ ეს საკმარისი არ არის რეფორმის გასატარებლად. საჭიროა ღრმად დაუკვირდეთ საკითხს და ამოვწუროთ საქმის ყველა მხარე, ვავითვალისწინოთ და განვსაზღვროთ ყველა საქმე, რაც შეიძლება გადაეცეს განსახილველად ასეთ სასამართლოებს. ამით ჩვენ მივალწვეთ ორ მიზანს: საერთო სასამართლოების განტვირთვისათან ერთად ჩვენ შევძლებთ დავაკმაყოფილოთ გლეხობა მისი ყოველდღიურ საქმეების სწრაფი განხილვა-გადაწყვეტით.

გლეხობის ცხოვრებაში აღიძვრის მრავალი საკითხები, რომლებიც მოითხოვენ ადგილობრივ გადაწყვეტას, ვინაიდან ეს აძლევს მას საშუალებას მისი საქმე განხილული იქნეს სწრაფად და ადგილობრივ ყოფაცხოვრების მიხედვით. ჩვენ შეგვიძლია სხვათაშორის აღვნიშნოთ ისეთი საქმეები, რომლებიც აღიძვრის მეზობლურ ურთიერთობის მოწესრიგების ნიადაგზეც. ხშირია სოფლის მეურნეთა შორის დავა, წარმოშობილი შემდეგ ნიადაგზე: მეზობელი აშენებს სახლს ისე, რომ ფანჯარა ან აივანი სხვის სარგებლობის მიწაზე გადადის, ან სოფლის მეურნე თავის სარგებლობის მიწაზე ისეთ რამეს აკეთებს, რითაც არღვევს მეზობლის ინტერესს. ამგვარ ნიადაგზე წარმოშობილმა დავამ სოფლად მწვავე ხასიათი მიიღო. საქმე მოითხოვს ადგილობრივ დათვალეირებას და მასთან მის სწრაფ გადაწყვეტას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ის ზა-

რალი, რაც შეიძლება წარმოადგეს ერთი მხარისათვის მეორის მოქმედებით. საჭიროა დროზე იქნეს შეჩერებული ასეთი მოქმედება. ასეთ საქმეების სახალხო სასამართლოში ვარჩევა უმეტეს შემთხვევაში ვერ დააკმაყოფილებს გლეხობას, ვინაიდან ადგილი შესაძლებელია დაგვიანდეს მათი ვარჩევა. აქ აქვს მნიშვნელობა იმას, რამდენად დატვირთულია სახალხო სასამართლო და რამდენად უკანასკნელი შორს არის იმ ადგილიდან, სადაც უნდა მოხდეს ადგილობრივი დათვალეობა. ამიტომ არ არის საფუძველს მოკლებული ის წინადადება, რომ ასეთი დავის განხილვა გადაეცეს იმ სასამართლოს, რომელიც უნდა დაარსდეს წვრილმან სამოქ. და სისხ. სამ. საქმეების განხილვა-გადასაწყვეტად. შესაძლებელია იყოს სხვა საკითხებიც, რომლების გადაცემას აღნიშნულ სასამართლოებზე მოითხოვენ როგორც გლეხობის, ისე მართლმსაჯულების ინტერესები. ამის შესახებ მასალის მოწოდება შეუძლიათ როგორც სახალხო და საადგილმამულო სასამართლოებს, ისე თემადმასკომებს.

გარდა აღნიშნულ საკითხებისა და პროცესის გამარტივებისა დიდს ყურადღებას იწვევს საკითხი საადგილმამულო საქმეების საერთო სასამართლოებზე გადაცემის შესახებ. ეს საკითხი უნდა დაისვას პრაქტიკულად, რამდენად მიზანშეწონილია ცალკე საადგილმამულო სასამართლოების არსებობა მაშინ, როცა ჩვენ გვაქვს მომზადებული სახალხო სასამართლო, რომელსაც ენდობა დიდად მნიშვნელოვანი საქმეები. მართლმსაჯულების განმტკიცებას და რევოლიუციური კანონიერების დაცვას ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ საადგილმამულო სასამართლოს არა აქვს სათანადო ხელმძღვანელობა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება საადგილმამულო საქმეების გარჩევის სწორ გზაზე დაყენება.

საკითხი საადგილმამულო საქმეების საერთო სასამართლოზე გადაცემის შესახებ არ არის სათანადოდ დამუშავებული; უნდა დაგროვდეს სათანადო მასალა, მხოლოდ მას შემდეგ ჩვენ შევძლებთ ვთქვათ, რა გზას უნდა დავადგეთ ამ საკითხში, უნდა ვაღიაროთ ამ სასამართლოების სრული გაუქმების საჭიროება თუ მათი დატოვება იმ პირობით, რომ მათი პრაქტიკა ექვემდებარებოდეს იმავე წესით გასინჯვას, რასაც აქვს ადგილი საერთო სასამართლოების მოღვაწეობის მიმართ.

აღნიშნული საკითხის და საერთოდ სხვა დანარჩენ საკითხების ამა თუ იმ მიმართულებით გადაწყვეტის დროს უნდა გვხელმძღვანელობდეთ იმით თუ რამდენად ამ გზით უზრუნველყოფილი იქნება საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის სწორი გატარება და რამდენად უფრო ადვილად განმტკიცდება რევოლიუციური კანონიერება. ჩვენთვის დიდად მნიშვნელოვან წამოყენებულ საკითხების სწორად გადაწყვეტას, ვიმეორებთ, სჭირდება სათანადო მასალის დაგროვება, ამ მასალის აწონ-დაწონვა და იმის გათვალისწინება თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს საკითხის ამა თუ იმ სახით გადაწყვეტას. ამ საქმეში კი საჭიროა სასამართლოს მუშაკების თანამშრომლობა, ფართო გამოხმაურება და მხურვალე მონაწილეობის მიღება. ეს არის არა მარტო მათი უფლება, არამედ მოვალეობაც.

ქონებრივი დანაშაული 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსში*

(გაგრძელება)

იმ ცვლილებათა აღნუსხვას, რაც შეტანილ იქნა 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსით ქონების საწინააღმდეგოდ მიმართულ თითოეული დანაშაულის შინაარსში, ჩვენ შევუდგებით იმ თანამიმდევრობით, რომლითაც მოთავსებულია სისხლის სამართლის კოდექსში ქონებრივ დანაშაულის მუხლები.

1. **ქურდობა.** როგორც უკვე იყო აღნიშნული, ქურდობის შინაარსის საერთო განსაზღვრაში კოდექსმა ახალი ის ცვლილება შეიტანა, რომ ქურდობაში დანაშაულებრივი ქმედობის საგნად სხვისი ქონება აღიარა, რაც უარყოფილ იყო 1922 წ. სისხლის სამართლის კოდექსით.

მაგრამ გარდა ამ დებულებისა, რომელიც უმთავრესად ქურდობის საერთო კონსტრუქციას შეეხება, ახალმა კოდექსმა შეიტანა ფრიად მნიშვნელოვანი ცვლილებები ქურდობის სხვადასხვა სახის ჩამოყალიბებაში, ამ მხრით შეიძლება ითქვას, რომ 1922 წლის სისხ. სამ. კოდექსის 187 მუხლში არ მოიპოვება არც ერთი პუნქტი, რომელიც ახალ კოდექსით არ იყოს შეცვლილი ამა თუ იმ სახით.

1922 წლის ს. ს. კოდექსში იყო გათვალისწინებული ქურდობის ორი მთავარი ჯგუფი: ქურდობა უბრალო (187 მ. პ. ა) და ქურდობა კვალიფიცირებული (187 მ. პ. ბ).

თუმცა 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსი არ ხმარობს ასეთ ტერმინებს, მაგრამ 177 მუხლის შინაარსის მიხედვით ცხადია, რომ არსებითად ახალი კოდექსი ითვალისწინებს როგორც უბრალო, ისე კვალიფიცირებულ ქურდობას.

იმის მიხედვით, თუ როგორ იყო ჩამოყალიბებული უბრალო და კვალიფიცირებული ქურდობა 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში, ჩვენ შეგვიძლია უბრალო ქურდობად მივიჩნიოთ ქურდობა, ჩადენილი ტენიკური ხერხის უხმარებლად, პირველად ან რომელიც არ შეიცავს 177 მუხლში განსაკუთრებულად აღნიშნულ დამამძიმებელ ნიშნებს (177 მ. პ. ა), ხოლო კვალიფიცირებულ ქურდობად ვაღიაროთ ისეთი დანაშაული, რაც ჩადენილია 177 მუხლის ბ და ვ პუნქტებში აღნიშნულ პირობებში; ამას გარდა უბრალო და კვალიფიცირებულ ქურდობაში გამოყოფილია დანაშაულის უფრო მძიმე ფორმები, რომელიც ამა თუ იმ საფუძველით იწვევს გაძლიერებულ რეპრესიას (177 მ. პ. „დ და ე), ცალკე გათვალისწინებულია ქურდობა, განსაკუთრებულად კვალიფიცირებული (177 მ. პ. ზ), ბოლოს კოდექსი ითვალისწინებს ქურდობის ისეთ შემთხვევებს, რომელშიც არა აქვს მნიშვნელობა არც იმას თუ ვინ ჩაიდინა ეს ქმედობა, არც დანაშაულის ჩადენის ადგილს და არც იმას, თუ რა საშუალებით ჩადენილ იქნა ეს დანაშაული (177 მ. პ. გ, 177 მ. შენიშვნა და 178 მ.)

ქურდობის კვალიფიკაციის საფუძველად, როგორც ეს იყო მიღებული 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში, მიჩნეულია ქმედობის სუბიექტი, ქმედობის ობიექტი, დანაშაულის ჩასადენად არჩეული საშუალება დანა-

* იხ. „საბჭოთა სამართალი“ № 6.

შეულის ჩადენის ადგილი და სხვა; რაც შეეხება ქურდობას სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებიდან და საწყობიდან, ეს ქმედობა დებულებს კვალიფიცირებულ ხასიათს იმავე ნიშნების მიხედვით, მხოლოდ პასუხისმგებლობის გამაძლიერებელ მიმენტად აქ მიღებულია ახალი სუბიექტი—პიროვნება, რომელსაც განსაკუთრებულად შეეძლო ამ დაწესებულებაში და საწყობში შესვლა, ან რომელიც ამ საწყობს იცავდა (177 მ. პ. ვ), და ობიექტი—მოპარულ ქონების განსაკუთრებული სიდიდე (პ. ზ). უბრალო ქურდობა 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში იყო განსაზღვრული, როგორც კერძო პირის გაქურდება რამე ტექნიკური ხერხის უხმარებლად (188 მ. პ. ა), ამ პუნქტის ახალ რედაქციაში კი სიტყვა „კერძო პირის“ ამოშლილია.

რამდენათაც უბრალო ქურდობა, ჩადენილი კერძო პირის მიერ სახელმწიფო დაწესებულებიდან და საწყობიდან, 177 მუხლში ცალკე არ არის გათვალისწინებული, უნდა ვიფიქროთ, რომ 177 მუხლის „ა“ პუნქტის სანქციის ფარგლებში მოექცევა, როგორც სახელმწიფო დაწესებულების და საწყობის, ისე კერძო პირის გაქურდება ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე; ამ რიგად სოციალური დაცვის ღონისძიების მხრივ აქ გათანაბრებულია სახელმწიფო დაწესებულების და კერძო პირის გაქურდება, ჩადენილი ტექნიკური ხერხის უხმარებლად, პირველად და სხვა პასუხისმგებლობის შემამცირებელ პირობებში.

არსებითად ეს არ შეიძლება სწორად იქნეს მიჩნეული. სახელმწიფო დაწესებულების, საწარმოს და საწყობის გაქურდება 177 მუხლის „ა“, პუნქტში გათვალისწინებულ პირობებში სოციალურად უფრო საშიში მოქმედება, ვიდრე იმავე პირობებში კერძო პირის ქონების მოტაცება,— ამიტომ ამ ორ მოქმედებათა გათანაბრება მათი სოციალური საშიშროების თვალსაზრისით შეუძლებელია.

სოციალისტური აღმშენებლობის დაცვის თვალსაზრისით საგრძნობელია სახელმწიფო ქონების ყოველივე დანაკლისი.—ამიტომ სახელმწიფო ქონების მოტაცებას, თუნდაც ეს ქონება განსაკუთრებულ ღირებულებას არ წარმოადგენდეს, ან ქმედობა ჩადენილ იყოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ პირობებში, უნდა მოჰყვეს უფრო ძლიერი რსპრესია, ვიდრე კერძო პირის გაქურდვას.

ამას მოითხოვს საბჭოთა კანონმდებლობის საერთო ხაზი, რომლის მიხედვით განსაზოგადოებული ქონება უფრო მტკიცედ არის დაცული კანონით, ვიდრე კერძო პირის საკუთრება.

ამ მხრივ სწორი ხაზი იყო გატარებული 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში, რომელშიც სახელმწიფო დაწესებულებიდან და საწყობიდან ქონების უბრალო ქურდობა ცალკე იყო გათვალისწინებული (187 მ. პ. „დ“) და იწვევდა კერძო პირის გაქურდვასთან შედარებით გაძლიერებულ რეპრესიას.

სწორეთ ამ გარემოებამ მიიპყრო ყურადღება სასამართლოს პრაქტიკაში, და რ. ს. ფ. ს. რ. უზენაეს სასამართლოს პლენუმი იძულებული გახდა განემარტა ქვემდებარე სასამართლოებისათვის, რომ ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსში არ მოიპოვება ცალკე მუხლი სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულების უბრალო გაქურდვის შესახებ, ასეთი ქურდობის ყველა შემთხვევა-

ბი, რაც არ ეფარდება ს. ს. კ. 162 მ. „გ“ და „დ“ პუნქტებს (ჩვენი კოდექსის 177 მ. „ვ“ და „ზ“ პუნქტები), მათი სოციალური საშიშროების მიხედვით მოქცეულ უნდა იქნეს იმავე კოდექსის „ვ“ პუნქტის ფარგლებში (საქართველოს კოდ. 177 მ. პ. „ბ“).

უბრალო ქურდობის მძიმე ფორმების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს 177 მ. „დ“ პუნქტში შეტანილი დებულება, რომლის მიხედვით უბრალო ქურდობა იწვევს გაძლიერებულ რეპრესიას იმ შემთხვევაში, თუ ქურდმა თან იქონია იარაღი თავდასაცემად ან თავის დასაცავად.

აქ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა აღადგინა შეიარაღებული ქურდობის ცნება. რომლის მიხედვით ქურდობა იწვევდა გაძლიერებულ რეპრესიას, თუ დამნაშავეს თან ქონდა იარაღი ან სხვა რამ საგანი, რომლითაც მას შეეძლო დაზარალებულის დასახიჩრება ან მოკვლა. მაგრამ ამ ახალ დებულების ჩამოყალიბებაში სისხლის სამართლის კოდექსმა ისეთი მომენტი შეიტანა, რომლის გამო არსებითად თვით ამ დებულების სისწორე იწვევს იქვს.

როგორც „დ“ პუნქტის პირდაპირი მითითებიდან სჩანს, იარაღი თან უნდა ჰქონდეს დამნაშავეს განსაზღვრული მიზნით; ეს მიზანი ასახულია კანონში, როგორც თავდაცემა ან თავდაცვა.

შეიარაღება დაცემის მიზნით არის არსებითად თავდასხმისათვის განსაზღვრებული მოქმედება, და რამდენადაც ჩვენი კანონმდებლობა დამნაშავეს წინასწარ მოქმედებაში არ არჩევს განმზადებას და მცდელობას და ორივე ეს სტადია დევნილია კანონით, როგორც დამთავრებული დანაშაული (19 მ.), პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, როცა ქურდმა თან იქონია იარაღი თავდასაცემად, უნდა განისაზღვროს არა ქურდობისა, არამედ ყაჩაღურ თავდასხმისათვის.

ამიტომ, უკეთესი ამა თუ ამ შემთხვევაში გამოაშკარავდა, რომ დამნაშავემ თან იქონია იარაღი დასაცემად მისი მოქმედების ასეთი მიზანი უკვე სცვლის თვის დანაშაულის სახეს და დამნაშავეს ქმედობას ძალადობით გაძარცვას უახლოვებს ამის გამო, ჩვენის აზრით, 177 მუხლის „დ“ პუნქტში შეიარაღების მიზანზე მითითებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

კვალიფიცირებული ქურდობის ჩამოყალიბებაში (177 მ. პ. „ბ“) 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსთან შედარებით ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა ის ცვლილება შეიტანა, რომ სიტყვები „იარაღი, ინსტრუქტი, ან და სხვა ტექნიკური ხელსაწყო და ხერხი“. რომლითაც განისაზღვრებოდა ძველ კოდექსში დანაშაულის ჩადენის საშუალება, შესცვალა სიტყვებით „ტექნიკური ხერხის ხმარებით“.

რამდენადაც 177 მ. „ბ“ პუნქტი სულ არ მიუთითებს იარაღს ან ინსტრუმენტზე უნდა ვიფიქროთ, რომ უბრალო ქურდობა, ჩადენილი, მაგალითათ, პრიმიტიული იარაღით, კანონმდებელს კვალიფიცირებულ დანაშაულად არ მიაჩნია; მეორეს მხრით კი ტექნიკური ხელსაწყოსი და ხერხის გაერთიანება ერთს ცნებაში (ტექნიკური ხერხი) არსებითად სწორია როგორც ეს მრავალჯერ იყო აღნიშნული ლიტერატურაში.

კვალიფიცირებული ქურდობის მძიმე ფორმას შეადგენს, სხვათა შორის, ის შემთხვევა, როცა ქურდმა თან

იქონია იარაღი დასაცემად და თავის დასაცავად (177 მ. პ. „ე“). თუ რა მოსაზრებას იწვევს საერთოდ ეს დებულება, ჩვენ მიერ უკვე აღნიშნულია უბრალო ქურდობის შინაარსის გარჩევის დროს.

კვალიფიცირებული ქურდობა სახელმწიფო დაწესებულებიდან და საწყობიდან ახალ კოდექსში საერთოდ უფრო მარტივად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული აქ აღსანიშნავია მხოლოდ რომ დანაშაულის ობიექტად, სხვათა შორის, აღიარებულია ის ქონება, რომელიც განსაკუთრებით ღირდა (177 მ. პ. „პ“).

ეს დებულება გადმოტანილია ახალ კოდექსში 1922 წლის ს. ს. კოდექსის 187¹ მუხლიდან, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწყობიდან, ნავსაწყობიდან და სხვა ქონების მტაცებლობის ისეთ შემთხვევებს, როდესაც მოტაცებული ქონება განსაკუთრებით ღირდა.

რამდენადაც მოტაცებული ქონების განსაკუთრებული სიღირის ცნება არ არის კანონში განსაზღვრული არავითარი ობიექტური ნიშნებით, აქ ადგილი ექნება მრავალ გაუგებრობას, — ამიტომ კანონის განმარტების წესით უნდა იქნეს შემუშავებული ის კრიტერიუმი, რომელიც მისცემს ამ შემთხვევაში სასამართლოს ორგანოებს სახელმძღვანელო დებულებას (მაგალითად, რით განისაზღვრება ქონების განსაკუთრებული სიღირე — ამ ქონების ფულადი ღირებულებით, რაც, ჩვენის აზრით, სრულიად მიუღებელია, ან იმ შედეგების მიხედვით, რაც მოჰყვება დაწესებულებისათვის ასეთი ქონების მოტაცებას ან მოტაცებულ ქონების დანიშნულებით და სხვ.).

2. ნაქურდალის შესყიდვა. ნაქურდალის შესყიდვის შინაარსში ცვლილება შეეხო მხოლოდ ამ დანაშაულის კვალიფიცირებულ სახეს — ნაქურდალი ქონების შესყიდვას ხელობის სახით.

1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებდა ნაქურდალის შესყიდვას ხელობის სახით და ნაქურდალის გასასაღებლად (188 მ. 2 ნაწ.) ახალი კოდექსის 179 მუხლის 2 ნაწილი გასაღების მიზანზედ ამ შემთხვევაში არ მიუთითებს, რითაც საგრძნობლად ფართოვდება თვით დანაშაულის შინაარსი. შემდეგი ცვლილება ეხება სოციალური დაცვის ღონისძიებას, რომელიც განისაზღვრება 179 მ. 1 ნაწ. მიხედვით თავისუფლების აღკვეთით ექვს თვემდე ან ჯარიმით ხუთას მანეთამდე, ხოლო 179 მ. 2 ნაწილით — თავისუფლების აღკვეთის ვადა განსაზღვრულია სამ წლამდე ან ჯარიმა სამი ათას მანეთამდე (ძველი კოდექსის მიხედვით ასეთ შემთხვევებში იყო დაწესებული თავისუფლების აღკვეთა ან იძულებითი მუშაობა ერთ წლამდე და არა ნაკლებ ერთი წლისა, ფულადი ჯარიმა კი სულ არ იყო გათვალისწინებული).

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ 179 მუხლში, როგორც წინააღმდეგ, კანონი ლაპარაკობს მხოლოდ ქურდობით შეძენილი ქონების შესყიდვაზე და არ მიუთითებს, შეეფარდება თუ არა ამ მუხლის მოქმედებას, მაგალითად, წინასწარი შეცნობით გაძარცვის საშუალებით შეძენილი ქონების შესყიდვა? უფრო სწორი იქნებოდა აქ ხმარებული ყოფილიყო ნაქურდალის ნაცვლად სიტყვა „მოტაცებული“, რომელიც ცხად ჰყოფდა, რომ შესყიდვა წინასწარი შეცნობით არა მარტო ნაქურდალის, არამედ ქაერ-

თოდ მოტაცების საშუალებით შეძენილი ქონებისა მოქცევა 179 მუხლის ფარგლებში.

3. გაძარცვა. გაძარცვის საერთო შინაარსი 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში ისეა ჩამოყალიბებული, როგორც 1922 წლის კოდექსის 189 და 190 მუხლებში. ეს არის სააშკარაოდ გატაცება სხვისი ქონების მისი მფლობელის, მოსარგებლის ან გამგის თვალწინ. ამასთან აქ კანონის ძველი და ახალი რედაქციის იგივეობა იმ ზომამდე მიდის, რომ სიტყვა-სიტყვით განმეორებულია, რომ ქონების მოტაცება უნდა მოხდეს მისი მფლობელის თვალწინ. რა თქმა უნდა ქონების სააშკარაოდ გატაცება გვაქვს მაშინაც, როცა ქონების პატრონი არ არის მოტაცების ადგილას, მაგრამ იქ იმყოფებიან სხვა პირები, რომელთაც შეცნობილი აქვთ, რომ ხდება სხვისი ქონების სააშკარაოდ გატაცება, როგორც ეს იყო გათვალისწინებული 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში, ახალი კოდექსის 180 მუხლში აღნიშნულია დანაშაულის ორი სახე: 1) ქონების სააშკარაოდ გატაცება პირის წინააღმდეგ ძალადობის უხმარებლად, რაც ახლო სდგას ქურდობასთან, და 2) გაძარცვა ისეთი ძალადობით, რომელიც საფრთხეს არ წარმოადგენს დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის (2 ნაწ.) ეს უკანასკნელი მოქმედება განსხვავდება ყაჩაღობისაგან მხოლოდ ხმარებული ძალადობის ხასიათის მიხედვით.

1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია აგრეთვე გაძარცვის კვალიფიცირებული შემთხვევები. ასეთია: 1) დანაშაულის ძალადობით ჩადენა განმეორებით ან 2) ჯგუფის მიერ.

1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულის განმეორებით ჩადენის ნაცვლად იხსენიებდა რეციდივისტს, ხოლო ჯგუფად გულისხმობდა „შაიკას“, ესე იგი რამოდენიმე პირისაგან შემდგარ ისეთ შენაერთს, რომელსაც ქონდა ორგანიზებული ხასიათი (190 მ. 2 ნაწ.).

რამდენადაც 1928 წლის სისხ. სამართლის კოდექსის 180 მ. 3 ნაწილი ამ შემთხვევაში „შაიკას“ არ იხსენიებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ახალი კოდექსის თვალსაზრისით დანაშაულის შედგენილობისათვის საკმარისია დამნაშავეთა ისეთი შეერთება, რომელიც მოკლებულია ორგანიზებული „შაიკის“ ხასიათს. ამ რიგად ჯგუფის ცნებას აქ შეადგენს მონაწილეობა ძალადობით გაძარცვაში არა ნაკლებ ორი პირისა, რომელნიც შეთანხმდნენ ურთიერთ შორის დანაშაულის ჩადენაში. თუ ასეთ შეთანხმებას არ აქვს ადგილი და ჯგუფის მიერ ჩადენილ გაძარცვას აქვს შემთხვევითი ხასიათი და ხდება მონაწილეთა შორის ყოველივე შეთანხმების გარეშე (მაგალითად, ერთი პიროვნება სააშკარაოდ იტაცებს ქონებას, ხოლო მეორე, უყურებს რა შემთხვევით ამას, უერთდება დამნაშავეს), ეს მხოლოდ უბრალო თანამონაწილეობაა დანაშაულისა და პასუხისმგებლობა განისაზღვრება 17 და 180 მ. 1 ან 2 ნაწილის მიხედვით.

თუ გაძარცვა ჩადენილია ჯგუფის მიერ, 180 მ. 3 ნაწილის მოქმედება უნდა იქნეს შეფარებული, როგორც ამ შემთხვევაში, როცა ძალადობაა ხმარებული, ისე მაშინაც, როცა ძალადობაა ხმარებული, ისე მაშინაც, როცა გაძარცვა მოხდა ძალადობის უხმარებლად.

4. ყაჩაღობა. ყაჩაღობის საერთო შინაარსი ახალ კოდექსში შეუცვლელად დარჩა ყაჩაღობა აქაც ხასიათ-

დება, როგორც სხვისი ქონებით მოტაცების მიზნით სა-
 აშკაროდ თავდაცვმა, რასაც თანსდევდა დაზარალებუ-
 ლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალა-
 დობა (181 მ.), მხოლოდ იმ გაუგებრობის ასაცილებლად,
 რომელსაც იწვევდა ამ მუხლის წინანდელი რედაქცია, 181
 მუხლში შეტანილია სიტყვები „თუნდაც ერთი პირის,
 და საშიში ძალადობით „დამუქრება“, რასაც არ ქონდა
 ადგილი ძველი კოდექსის 191 მუხლში.

ყაჩაღურ თავდასხმის სხვა და სხვა სახის ჩამოყალი-
 ბებაში არსებითად ახალია 181 მ. 2 ნაწილში გათვალის-
 წინებული ყაჩაღობა, რომელსაც თან მოჰყვა სიკვდილი
 ან მძიმე დაზავება; ამით სისხლის სამართლის კოდექსმა
 განსაზღვრა მკვლელობა, გაძარცვის მიზნით ჩადენილი,
 ყაჩაღობისაგან, რასაც არ ქონდა ადგილი სისხლის სამა-
 რთლის ძველ კოდექსში.

ახალია აგრეთვე 181 მ. 3 ნაწილში გათვალისწინე-
 ბული ყაჩაღური თავდასხმის შემთხვევა, როცა თავდამ-
 ცემმა იხმარა იარაღი, რომლითაც შეიძლებოდა მოკვლა
 ან დაზავება. როგორც ამას აღნიშნავს პატივცემული
 ი. როინაშვილი (იხ. „საბჭოთა სამართალი“ № 2,
 გვ. 33), აქ გათვალისწინებულია შეიარაღებული, ყა-
 ჩაღობა, აქვე გათვალისწინებულია ყაჩაღობა, ჩადე-
 ნილი იმ პირის მიერ, ვისაც სასამართლო სცნობს
 სოციალურად განსაკუთრებით საშიშ პიროვნებად, თა-
 ნაც ორივე ამ სახის ყაჩაღობისათვის სასამართლოს შეუ-
 ძლია სოციალური დაცვის ღონისძიება ასწიოს დახვრე-
 ტამდე.

ყაჩაღური თავდასხმა, ჩადენილი სოციალურად გან-
 საკუთრებით საშიში პიროვნების მიერ, იყო გათვალისწი-
 ნებული 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსშიც
 (1925 წ. დამატებით) მაგრამ ქმედობა იწვევდა თავისუფ-
 ლების აღკვეთას ათ წლამდე. (191 მ. 2 ნაწ.).

1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 181 მუ-
 ხლის განხილვის ნიადაგზე შესაძლოა წარმოიშვას საკითხი
 იმის შესახებ, თუ რით უნდა იქნეს გამოიჯნული 181 მ.
 2 ნაწილი იმავე მუხლის 3 ნაწილისაგან და არის თუ არა
 გათვალისწინებული 181 მუხლში ყაჩაღობა, ჩადენილი
 ჯგუფის მიერ?

181 მუხლის 2 ნაწილი ითვალისწინებს ისეთ ყაჩა-
 ლობას, რომელსაც თან მოჰყვა სიკვდილი ან დაზავება;
 თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ იშვიათსა და განსა-
 კუთრებულ შემთხვევებს, როდესაც ადამიანი კვდება ში-
 შით ან მას შიშისავე ზეგავლენით ეკარგება სმენის ან
 ლაპარაკის შესაძლებლობა თავდამცემის მარტოოდენ და-
 ნახვით, ჩვეულებრივად უფრო ხშირად სიკვდილი ან და-
 ზავება შედეგია დაზარალებულის წინააღმდეგ იარაღის
 ხმარებისა, ამიტომ 181 მ. 2 ნაწილი თავის თავად გუ-
 ლისხმობს თავდასხმის დროს იარაღით მოქმედებას; ამ
 პირობებში 181 მ. 3 ნაწილში იმ შემთხვევის გათვალის-
 წინება, როდესაც დამნაშავემ იხმარა იარაღი, რომლი-
 თაც შეიძლებოდა მოკვლა ან დაზავება და ქმედობი-
 სათვის, რომელსაც ეს შედეგები არ მოჰყოლია, სოცია-
 ლური დაცვის ღონისძიების დახვრეტამდე აწვევს ყველ
 შემთხვევაში გაუგებრობას იწვევს.

თუ 181 მუხლის შინაარს დაუპირისპირებთ რ. ს.
 თ. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსის 167 მუხლს ყა-
 ჩაღობის შესახებ, დაფინახვით, რომ 181 მ. 3 ნაწილში

აღნიშნულ შემთხვევას, როდესაც დამნაშავემ იხმარა ია-
 რაღი, რომლითაც შეიძლებოდა მოკვლა ან დასახიჩრება,
 რუსეთის კოდექსში არ აქვს ადგილი. აქ ყაჩაღობის გან-
 საკუთრებით მძიმე სახედ მიჩნეულია ყაჩაღური თავდასხმა,
 რომელსაც მოჰყვა სიკვდილი ან დაზავება და ამასთანავე
 მხოლოდ ამ შემთხვევაში და არა რომელიმე სხვაში, სა-
 სამართლოს შეუძლია დასვას საკითხი პიროვნების სო-
 ციალურად განსაკუთრებული საშიშროების შესახებ; 181
 მუხლის 3 ნაწილის მიხედვით კი ასეთი საკითხის აღძვრა
 შესაძლოა ყაჩაღურ თავდასხმის ყველა შემთხვევაში.


რამდენადაც ყაჩაღობა ხასიათდება 181 მუხლში,
 როგორც სხვისი ქონების წართმევის მიზნით, თუნდაც
 ერთი პირის სააშკაროდ თავდაცვმა, უნდა ვიგულისხმოთ,
 რომ ამ მუხლში კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევე-
 ბსაც, როცა ყაჩაღობა ჩადენილია ჯგუფის მიერ. ამ დე-
 ბულებასთან დაკავშირებულია საკითხი იმის შესახებ, თუ
 როგორ უნდა იქნას განსაზღვრული ასეთ ჯგუფში მომ-
 ქმედ პიროვნებათა პასუხის მშებლობა თანამონაწილეობის
 წესით, თუ ბანდიტურ თავდასხმისათვის. რა თქმა უნდა,
 თუ თავდასხმა ჩადენილია რამოდენიმე პირის მიერ, რა-
 მელნიც არ შეადგენენ შეიარაღებულ „შაიკას“ ამ სიტ-
 ყვის პირდაპირი მხიშვნელობით, მათი პასუხისმგებლობა
 უნდა განისაზღვროს თანამონაწილეობის წესისამებრ, ესე
 იგი 17 და 181 მ. 3 ნაწილის მიხედვით, ხოლო თუ ჯგუ-
 ფი შეიცავს შეიარაღებულ „შაიკას“ ნიშნებს და მის მიერ
 ჩადენილ თავდასხმას არა აქვს მარტოოდენ ქონებრივი
 ხასიათი, ამ ჯგუფის წევრების მოქმედებას შესაძლოა შე-
 ეფარდოს 58—17 მუხლი ბანდიტიზმის შესახებ.

5. მითვისება. მითვისების საერთო შინაარსი ახალ
 კოდექსში შეუცვლელად დარჩა, მხოლოდ აქ, როგორც
 განსხვავება, უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის ობიექ-
 ტად აღიარებულია სხვისი ქონება. ამიტომ იმ ქონების
 მესაკუთრის მიერ მითვისება, რაც მაგალითად, აღწერი-
 ლია და უკანასკნელს აქვს ჩაბარებული, ვერ გამოიწვევს
 პასუხისმგებლობას 182 მუხლის პირდაპირი შინაარსის
 მიხედვით.

მეორეს მხრით 1928 წლის სისხლის სამართლის
 კოდექსით შექმნილია მითვისების განსაკუთრებული შემ-
 თხვევები. ასეთია: ნაპოვნი ან აღმოჩენილი განძის მითვი-
 სება (182 მ.) და მითვისება მეურვის მიერ მის მეურვეო-
 ბაში მყოფი პირის ქონებისა (182 მ.) მითვისების სხვა
 შემთხვევები არ არის ახალ კოდექსში გათვალისწინებუ-
 ლი. სხვათა შორის, როგორც ეს უკვე იყო აღნიშნული,
 ახალი კოდექსი ღიად სტოვებს საკითხს ნაპოვნი ან დავი-
 წყებული ნივთის მითვისების შესახებ.

6. თაღლითობა. თაღლითობა ხასიათდება 1928 წ.
 სისხლის სამართლის კოდექსში როგორც ანგარების მიზ-
 ნით ქონების ან ამ ქონებაზე უფლების მოპოება ნდობის
 ბოროტად გამოყენებით ან მოტყუებით (183 მ.).

თაღლითობის ასე ჩამოყალიბება გაცილებით უფრო
 სწორია, ვიდრე ამ დანაშაულის განსაზღვრა, მიღებული
 რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის მი-
 ხედვით თაღლითობად აღიარებულია მოტყუება ან ნდო-
 ბის ბოროტად გამოყენება, ჩადენილი ქონების ხელში ჩა-
 შენობით. ამ განსხვავებას აქვს დიდი მნიშვნელობა იმის
 გადმოაქრელად, თუ რით უნდა განისაზღვროს დანაშაუ-



ლის დამთავრების მომენტი: არის აქ საჭირო მხოლოდ მოტყუების ჩადენა, თუ დანაშაულის დამთავრებისათვის საჭიროა ქონების შექმნა მოტყუების საშუალებით?

თაღლითობის ობიექტი განსაზღვრულია კანონით როგორც საერთოდ ქონება ან ქონებაზე უფლება, აქ არ არის მოთხოვნა, რომ ქონება დამნაშავეისათვის უნდა იყოს სხვისი,—ამიტომ შესაძლოა თაღლითობის საგნად მიჩნეულ იქნეს დამნაშავეის საკუთარი ქონებაც, რამდენადაც უკანასკნელმა დაარღვია თავის საკციელით ის უფლებები, რაც მინიჭებული აქვს ამ ქონებაზე სახელმწიფო დაწესებულებას ან მესამე პირს.

7. გამოძალვა. გამოძალვის საერთო კონსტრუქციაში ის ცვლილებაა შეტანილი, რომ 193 მუხლში გაერთიანებულია ძველი სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული ამ ქმედობის ორივე სახე: საერთო გამოძალვა და შანტაჟი, თვით ტერმინი „შანტაჟი“ უარყოფილია კანონით, ამასთანავე დანაშაულის ჩადენის ღონისძიებად არ არის აღნიშნული იმის დამუქრება, რომ „ხელისუფლების წარმომადგენელს ეცნობება კანონის საწინააღმდეგო ქმედობა დაზარალებულის“, როგორც ამას ჰქონდა ადგილი 1922 წლის სის. სამ. კოდექსის 201 მუხლში.

ამას გარდა რაიმე ქონებრივი გამორჩენისა ან ქონებაზე უფლების გადაცემის მოთხოვნასთან ერთად კანონი იხსენიებს „რაიმე ქონებრივი ხასიათის მოქმედების“ შესრულებას; 1922 წლის სის. სამ. კოდექსის 200 მუხლი და აგრეთვე სათანადო მუხლი რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსისა ლაპარაკობდნენ ამ შემთხვევაში „რაიმე მოქმედებაზე“ და არ მიუთითებდნენ, რომ მოქმედება ქონებრივი ხასიათის უნდა ყოფილიყო. კანონის ასეთმა რედაქციამ მისცა ზოგიერთ კრიმინალისტებს საბაბი წამოეყენებინათ დებულება, რომ დანაშაულებრივი მოქმედება შესაძლოა გამოიხატოს რაიმე არა ქონებრივი მოქმედების შესრულების მოთხოვნითაც: მაგალითად, ქალისაგან იმის მოთხოვნა, რომ მან დაიჭიროს დამნაშავესთან სქესობრივი კავშირი (იხ. Эстрин,) Учебник Угол. права Р. С. Ф. С. Р. 1923 г. стр. 76, Немировский, Советское угол. право, 1925 г. стр. 282).

ვინაიდან გამოძალვა მოთავებული იყო ძველ კოდექსში ქონების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჯგუფში, ზემოთ აღნიშნული განმარტება „რაიმე მოქმედების“ შინაარსის შესახებ მაშინაც შორს იდგა ქვემოთრიტებისაგან, ამჟამად კი, რამდენადაც ახალ კანონში პირდაპირ წამოყენებულთა მოთხოვნა მოქმედების ქონებრივი ხასიათის შესახებ, საკითხი მოექცა სწორს ფარგლებში და არავითარ გაუგებრობას არ გამოიწვევს არც ლიტერატურაში და არც სასამართლოს პრაქტიკაში.

8. მევახშეობა. მევახშეობის შინაარსში ახალია გადასახდელ სარგებლის უკიდურესი ნორმა. ს. ს. რ. კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1927 წლის 17 აგვისტოს დადგენილების თანახმად მევახშეობის შესახებ სარგებლის უკიდურეს ნორმას სესხზე აწესებენ რესპუბლიკათა სახალხო კომისართა საბჭოები და იგი არ შეიძლება იყოს ნაკლები ერთის მხრივ ს.ს.რ. კავშირის სახელმწიფო ბანკის სადისკონტო პროცენტის ნახევარი ოდენობისა და მეორეს მხრით იმავე პროცენტის გასამებულ ოდენობაზე მეტი.

ამ დებულების თანახმად გამოცემული საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის 29 თე-

ბერვლის დადგენილებით, როგორც ფულადი, ისე ქონებრივი სასესხო ხელშეკრულების სარგებლის უკიდურეს ნორმად დაწესებულია 24 პროც. წლიურად, სასესხო გარიგებით ამაზე მეტი სარგებლის გადახდევინება დევნილუნდა იქნას სისხლის სამართლის წესით (192 მ).

კანონი არ მოითხოვს, როგორც წინააღმდეგობის ჩადენას ხელობის სახით. დანაშაულის შედგენილობისთვის საკმარისია, რომ ქმედობა ჩადენილი იყოს თუნდა მხოლოდ ერთჯერ; უკიდურეს ნორმაზე მეტი პროცენტის გადახდევინება ხელობის სახით ან და მსესხებელის გაჭირვებული მდგომარეობის გამოყენებით შეადგენს 192 მ. 2 ნაწილში გათვალისწინებულ კვალიფიცირებულ დანაშაულს.

9. ქონების განადგურება. 1922 წლის სის. სამ. კოდექსი ითვალისწინებდა ამ დანაშაულის ორ მთავარ სახეს: 1) ქონების განადგურება უბრალო (202 მ.) და 2) ქონების განადგურება, ჩადენილი საყოველთაოდ საშიში ხერხით (203 მ.), 1928 წლის სისხლის სამ. კოდექსი ითვალისწინებს ორივე ამ ქმედობას, ხოლო აერთებს მათ 194 მუხლში.

მაგრამ მთავარი განსხვავება კანონის ძველსა და ახალ რედაქციის შორის მდგომარეობს იმაში, რომ 1922 წლის სის. სამ. კოდექსი 202 და 203 მუხლებში ითვალისწინებდა საერთოდ ქონების განადგურებას იმაზედ დამოუკიდებლად, თუ ვის ეკუთვნის ეს ქონება; ახალი კოდექსის 194 მუხლი კი ლაპარაკობს მხოლოდ კერძო პირის ქონების განზრახ განადგურებაზე და ამ რიგად სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განადგურება არ არის გათვალისწინებული 194 მუხლში. სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან კოოპერატიული დაწესებულების თუ საწარმო ქონების განზრახ განადგურება გამოყოფილია მართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულთა ჯგუფში და გათვალისწინებულია ს. ს. კ. 79 მუხლში. შემდეგ, ახალია ამ დანაშაულის ჩამოყალიბებაში 194 მ. 3 ნაწილში გათვალისწინებული ქონების საყოველთაოდ საშიში ხერხით განადგურების განსაკუთრებული სახე, როდესაც დანაშაულს შედეგად მოჰყვა ადამიანის მსხვერპლი ან რაიმე საზოგადოებრივი უბედურება. ასეთ შემთხვევას არ ითვალისწინებდა 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსი.

რამდენადაც 194 მუხლი ლაპარაკობს მხოლოდ კერძო პირის ქონების განზრახ განადგურებაზე, ხოლო ს. ს. კ. 79 მუხლი არ ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულების ქონების განადგურებას მოჰყვა ადამიანის მსხვერპლი ან საზოგადო უბედურება, იბადება საკითხი, რომელი მუხლით უნდა განისაზღვროს იმ პიროვნების პასუხისმგებლობა, რომელმაც განადგურა ან დააზიანა საყოველთაოდ საშიში ხერხით სახელმწიფო დაწესებულების ქონება და ქმედობას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი? ს. ს. კ. 194 და 79 მუხლების პირდაპირი შინაარსის მიხედვით ჩვენ ვერ ვპოულობთ კანონში სახელმძღვანელო დებულებას.

დანაშაულის ობიექტი არ არის განსაზღვრული, როგორც სხვისი ქონება,—ამიტომ საკუთარ ქონების განადგურება განსაზღვრულ პირობებში დანაშაულებრივ ქმედობას წარმოადგენს.

სისხლის სამართლის ახალი კოდექსის ზოგადი ნაწილის შესახებ.

უმთავრესი, რითაც განისაზღვრება სისხ. სამ. კოდექსის ხასიათი, დანაშაულისა და სოციალური დაცვის ღონისძიების საკითხებია: ამ ორ საკითხს უკავია კოდექსის პრინციპიული სიმამლეები; დანარჩენი საკითხები ამათგან გამომდინარეობენ.

„დანაშაული არის კანონის საწინააღმდეგო ქმედობა, ამბობს ბურჟუაზიული სამართალი, საბჭოთა სამართალმა თავიდანვე უარჰყო ასეთი ფორმალური განმარტება და წამოაყენა ბურჟუაზული კოდექსებისათვის უჩვეულო მატერიალური განსაზღვრა: „საზოგადოებრივ საშიშ ქმედობად (დანაშაულად) ჩაითვლება ყოველი მოქმედება ან უმოქმედობა, რაც საფრთხეს წარმოადგენს საბჭოთა წესწყობილებისათვის ან არღვევს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მიერ კომუნისტურ წესწყობილებაზე გარდამავალი ხანისათვის დამყარებულ მართლწესრიგს“ (5 მ.)

ეს არის დანაშაულის ნამდვილი შინაარსის, გამომწვეურება, მისი კლასური ბუნების გამოვლენა. სდგება რა დანაშაულის მატერიალურ განმარტების ნიადაგზედ საბჭოთა კოდექსი ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მოქმედებათა მთელი რიგი შეიძლება ფორმალურად შეეფერებოდეს განსაკუთრებული ნაწილის რომელიმე მუხლის ნიშნებს, მაგრამ რეალურად არ წარმოადგენდეს საფრთხეს საბჭოთა წესწყობილებისათვის; ამიტომ რუსეთის სისხ. სამ. კოდექსის 6 მუხლს, რომლითაც განმარტებულია დანაშაული, ახლავს შენიშვნა: „არ წარმოადგენს დანაშაულს ქმედობა, რომელიც თუმცა ფორმალურათ შეეფერება განსაკუთრებული ნაწილის რომელიმე მუხლის ნიშნებს მაგრამ აშკარად მცირე მნიშვნელოვანია და არც მანვე შედეგი მოჰყოლია, რის გამოც მოკლებულია საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს“. უკრაინის კოდექსში არ არის ასეთი შენიშვნა და ეს საკითხი გადაჭრილია საპროცესო კოდექსით (5 მ. ძველი 4) არც ჩვენი კოდექსის 4 მუხლს ახლავს შენიშვნა, მაგრამ სამაგიეროდ არის 14 მუხლი: „სოციალური დაცვის ღონისძიება შეიძლება სრულიადაც არ იქნეს შეფარდებული და თვით საქმე კი მოისპოს იმ შემთხვევაშიაც, როდესაც მოქმედება, თუნდა იგი შეიცავდეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, ხოლო იმის გამო, რომ იგი თავისთავად მეტად უმნიშვნელოა, რომ მას არავითარი მანვე შედეგი არ მოჰყოლია ან, თუ მოჰყოლია-სრულიად უმნიშვნელო, აგრეთვე გარემოებათა შეცვლის გამო დაპყარვა სასამართლოში საქმის გარჩევის დროისათვის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, თანაც, თუ ამ მოქმედების ჩამდენი აღნიშნული დროისათვის სასამართლოს აზრით არ შეიძლება საზოგადოებრივად საშიშ პიროვნებათ იქნეს მიჩნეული“. როგორც ვხედავთ, რუსეთის კოდექსს აქვს ლოლიკური დაბოლოებამდი მიყვანილი შეხედულება ამ საკითხზე; ჩვენი კოდექსი კი პირდაპირ არ ამბობს, რომ ასეთი მოქმედება არ არის დანაშაული, მაგრამ შესაძლებლად მიაჩნია, რომ „სოციალური დაცვის ღონისძიება სრულიადაც არ იქნეს შეფარდებული“ მათთვის.

დანაშაულის მატერიალურ განმარტებიდან გამომდინარეობს აგრეთვე ანალოგიის საკითხის თავისებური გადაჭრა, ბურჟუაზიულ კოდექსებში, სადაც დანაშაულის

ფორმალური განმარტება არის, გაბატონებულია პრინციპი nullum crimen sine lege („არავითარი დანაშაული-კანონის გარეშე“), რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულთა რიცხვი სრულიად ამოწურულია კოდექსით, უკანასკნელი დახურულია და დისპოზიციის ანალოგია არ შეიძლება. ისტორიულად ეს პრინციპი რევოლუციური წარმოშობისაა როცა აბსოლუტუტიზმით შებოკილი ბურჟუაზია ლამობდა განთავისუფლებას, მაშინ უნდობლად უყურებდნენ ყველადღერს, რაც ძველ სახელმწიფოსთან იყო დკავშირებული: „სასამართლო არ უნდა შეიჭრეს საკანონმდებლო ორგანოს კომპენტენციაში“ (მონტესკიე). ასეთი ხაზით მიმდინარეობს ბრძოლა XVIII საუკუნიდან; XIX საუკუნეში ე. წ. „თავისუფალი სამართლის სკოლამ“ (ერლიხი, ჟენი და სხვ.) წამოაყენა დებულება, რომლითაც მოსამართლეს უნდა ჰქონდეს უფლება ისე შეავსოს კოდექსის ხარვეზები, როგორც კანონმდებელმა, მაგრამ ამ სკოლის გავლენა უმნიშვნელოა და დღესაც ბურჟუაზიულ ქვეყნებში ხსენებული პრინციპი თავისთავად კეშმარტებად ითვლება.

სხვანაირად უყურებს ამ საკითხს საბჭოთა სამართალი. ჩვენში რევოლუციური შეგნებიდან რევოლუციურ კანონიერებაზედ გადასვლა რამდენიმე წელი სწარმოებს. ამ გადასვლას ერთგვარი თანდათანობა ესაჭიროება. შეუძლებელია ერთაბაშად-რევოლუციური შეგნების სრული თავისუფლებიდან სრულ შეზღუდვაზე გადასვლა. ამას გარდა სრულიად ნორჩ კოდექსს არ შეეძლო გაეთვალისწინებია ცხოვრების მთელი სირთულე და დანაშაულობათა სრული კატალოგის-შედგენა ყველა ამის შედეგად ჩვენ გვაქვს 8 მუხლი: „უკეთუ ესა თუ ის საზოგადოებრივად საშიში ქმედობა სისხ. სამ. კანონმდებლობით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, პასუხისმგებლობის საფუძველსა და ფარგალს, აგრეთვე სოციალური დაცვის ღონისძიებას სასამართლო განსაზღვრავს ამა კოდექსის კერძო ნაწილის იმ მუხლის ანალოგიით, რითაც გათვალისწინებულია მნიშვნელობით და გვართ ყველაზედ უფრო მსგავსი დანაშაული“. ამ მუხლის მნიშვნელობა ტეხნიკური ხასიათისაა და რამდენადაც ამომწურავი კოდექსი იქნება შედგენილი, იმდენად ანალოგიაც შეიზღუდება; წინააღმდეგ შემთხვევაში ე. ი. ანალოგია რომ პრინციპის საკითხად აღვიაროთ და მის შეზღუდვას ვებრძოლოთ, მაშინ საბოლოოდ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილი ზედმეტად უნდა ჩაეთვალოთ, რადგანაც უკანასკნელის აზრია სწორედ იმაშია, რომ კანონმდებლობის გზით ფიქსაცია უქნას ყველა ისეთ მოქმედებას, რომელიც სახელმწიფოს დანაშაულობად მიაჩნია და მისცეს გარანტია მოქალაქეს, რომ არის საზღვარი, რომელსაც სახელმწიფო არ გადალახავს. ანალოგიის შეზღუდვას უაღრესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სასამართლოს ერთობლივი პოლიტიკისათვის.

ჩვენი სამართალი არ უყურებს სოციალური დაცვის ღონისძიებას, როგორც სამაგიეროს გადახდის საშუალებას, არამედ მიაჩნია იგი საზოგადოების დაცვის იარაღად. 22 წლის კოდექსებში იხსენიებდნენ სასჯელს, როგორც სოციალური დაცვის ღონისძიების ერთ-ერთს სახეს; ახლმა კოდექსებმა ტერმინი „სასჯელი“ განდევნა, რითაც ხაზი გაუსვა იმას, რომ სასჯელი, რომელიც ისტორიულად დაკავშირებულია ბრალისა და მორალური პასუხისმგებლობის საკითხთან, მას არ სწამს მართალია ჩვენი კოდე-

ქსი (9 მ.) ასახელებს განზრახვას და გაუფრთხილებლობას, მაგრამ არა როგორც ბრალის ფორმებს, არამედ როგორც მიჩვენებელს დამნაშავეის ფსიქიური მიმართებისა თავის ქმედობასთან, რაც აუცილებელია პიროვნების საშიშროების ხარისხის გამოსარკვევად. ჩვენი კოდექსი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ის უარყოფს შურისძიებას და დასჯას და სოციალური დაცვის ღონისძიებას მიზნად უსახავს: ა) დანაშაულის წინასწარ აცდენას, ბ) საზოგადოებრივად საშიშ ელემენტებისათვის ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის მოსპობას და გ) მსჯავრდებულის გამოსწორებას შრომა-გასწორების ზეგავლენით და მის შეგუებას მშრომელთა სახელმწიფოს საერთო ცხოვრების პირობებისათვის (7 მ.) აქ აშკარად სჩანს, რომ ჩვენი კოდექსით სოციალური დაცვის ღონისძიებას მიზნად აქვს, როგორც ზოგადი, ისე სპეციალი პრევენცია. ასეთივე გარკვეულობით ლაპარაკობს კანონმდებელი ზოგადი და სპეციალი პრევენციის შესახებ 42 მუხლში: სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს დამნაშავეის პიროვნება, დანაშაულის საფრთხიანობა და მოტივი, განსაკუთრებით ხაზი აქვს გასმული ზოგად პრევენციას 44 მუხლში: სასამართლომ უპირველეს ყოვლისა უნდა გამოარკვიოს „რა საზოგადოებრივ საფრთხეს წარმოადგენს დანაშაული“.

უნდა აღვნიშნოთ, რომ 7 მუხლი რედაქციის მხრით არ არის დამაკმაყოფილებელი, რას გულისხმობს კანონმდებელი „ა“ პუნქტში? ვინ უნდა ასცდეს დანაშაულის ჩადენას? თუ იმაზეა ლაპარაკი, რომ დამნაშავემ ხელმეორედ არ ჩაიდინოს დანაშაული, ამის შესახებ ამომწურავად ლაპარაკობს „გ“ პუნქტი მსჯავრდებულის გამოსწორება— და გამოსწორება კი უტყველად იმას ნიშნავს, რომ დამნაშავე დანაშაულს აღარ ჩაიდენს; თუ სხვა მერყევ ელემენტებზეა ლაპარაკი, ამის შესახებ არის „ბ“ პუნქტი. ასე რომ აქ ტავტოლოგიასთან გვაქვს საქმე და „ა“ პუნქტი სრულიად ზედმეტია.

ვის შეეფარდება სოციალური დაცვის ღონისძიება? „იმ პირს, ვისაც სოციალურად საშიში ქმედობა ჩაუდენია ან ვინც გამო კავშირის წრესთან დამნაშავეთა ან თავისი დანაშაულებრივი წარსულის გამო საფრთხეს წარმოადგენს“ (6 მ.) მე-5 მუხლი უფლებას აძლევს სასამართლოს 34 მ. აღნიშნული ღონისძიებანი ს. ს. ს. რ. ფარგლებიდან განდევნის გარდა „შეუფარდოს, საქმეში ბრალდებულად ჩაბმულს, ხოლო ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო გამართლებულ პირსაც კი, უკეთუ სცნობს, რომ იგი, დანაშაულებრივი წარსულისა და დამნაშავეთა წრესთან კავშირის გამო სოციალურად საშიში ელემენტია“. უპირველეს ყოვლისა რას ნიშნავს „კავშირი დამნაშავეთა წრესთან“? კავშირი შეიძლება ათასგვარი იყოს. რომელ კავშირზეა ლაპარაკი? აქ მოსამართლის თვითნებობას უსაზღვროდ ფართე გზა ეხსნება. იგივე ითქმის „დანაშაულებრივი წარსულის“ შესახებაც. გამოდის, რომ წარსულის დაეწიება ჩვენმა კოდექსმა არ იცის. რით შეიძლება ამის ახსნა? კანონმდებელი ხომ უარჰყოფს „შურისძიებას და დასჯას“ (7 მ.) აქ კი გამოდის, რომ მას თვით გამოსწორება მიაჩნია შეუძლებლად (არაყოველთვის, რასაკვირველია) რაც ეწინააღმდეგება 7 მუხლს, სადაც გასწორებაზეა ლაპარაკი. ის მდგომარეობა, რომ დანაშაულებრივი წარსულის მქონეს ამის შემდეგ აღარ ჩაუდენია

დანაშაული, ნიშნავს მის გამოსწორებას. ერთად ერთი საფუძველი, ასეთ შემთხვევებში სოციალურის დაცვის ღონისძიების შეფარდებისა არის „საექვო“, არაკეთილსაიმედო“ მდგომარეობა, რაც, როგორც აღვნიშნეთ თვითნებობას უხსნის გზას.

ამას გარდა, 6 და 34 მ. მ. ეწინააღმდეგებიან ამავე კოდექსის 1 მ. და სისხ. სამ. საპროცესო კოდექსის 4 მუხლს. „საქართველოს ს. ს. რ. სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიზანია დაიცავს მშრომელთა სახელმწიფო სამართლით განსაზღვრული წესისამებრ, ისეთი საზოგადოებრივად საშიშ ქმედობისაგან (დანაშაულისაგან), რაც ძირს უთხრის მშრომელთა ხელისუფლებას“... (1 მ.) საპროცესო კოდექსის 4 მუხლში ვკითხულობთ: „სისხლის სამართლით დევნა არ შეიძლება აღძრულ იქნეს, ხოლო აღძრული დევნა არ შეიძლება განგრძობილ იქნეს და უნდა მოისპოს პროცესის რა სტადიაშიაც არ უნდა იყოს საქმე... 5) უკეთუ ის მოქმედება, რომელსაც ბრალდებულს აბრალდებენ, არ შეიცავს საზოგადოებრივად საშიში ქმედობის (დანაშაულის) ნიშნებს. როგორც ვხედავთ, მატერიალური კოდექსი გარკვევით ლაპარაკობს, რომ მას საქმე აქვს მხოლოდ „საზოგადოებრივად საშიშ ქმედობასთან“ (1 მ.) და, თუ სწორედ ასეთი მოქმედება არ არის, საქმე არ შეიძლება აღძრულ იქნეს და, თუ აღძრულია, უნდა მოისპოს (საპრ. კოდ. 4 მ. 5 პ.). მაშასადამე, ამ მუხლების მიხედვით, სოციალური დაცვის ღონისძიება შეეფარდება მხოლოდ ისეთ პიროვნებას, რომელსაც რაიმე დანაშაულებრივი ქმედობა ჩაუდენია; 7 და 34 მ. მ. კი სწორედ ამის საწინააღმდეგოს ლაპარაკობენ.

საინტერესოა, როგორ გადასწყდა ეს საკითხი რუსეთსა და უკრაინაში. 1924 წლის 31 ოქტომბრის ს.ს.ს.რ ძირითად დებულებაში ვხვდებით 22 მუხლს, რომელიც სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდებას არ უკავშირებს აუცილებლად კონკრეტ ქმედობას. ძირითადი დებულების ამ მუხლის მიხედვით რუსეთის მომქმედი კოდექსის პროექტში შეტანილი იყო 7 და 36 მუხლები, რომლებიც ისეთივე შინაარსისაა, როგორც ჩვენ მიერ განხილული 6 და 34 მუხლები. „ახალი საზოგადოებრივი წყობილების ანუ ახალი სოციალისტური მშენებლობის დაცვის იდეა გვიკარნახებს ჩვენ, რომ მივიღოთ ზომები არა მარტო იმ პირთა მიმართ, რომლებმაც უკვე ჩაიდინეს დანაშაული და გამოაშკარავეს დანაშაულებრივი მდგომარეობა, არამედ მომავალში დანაშაულის ჩადენის წინააღმდეგაც“. ასე ასაბუთებდა ამ მუხლებს ამხ. კრილენკო ცაკის სესიის წინაშე; მაგრამ ცაკმა, იმავე „სოციალისტური მშენებლობის დაცვის იდეის“ ინტერესებისათვის სახიფათოდ სცნო ეს აზრი, რადგან ამით „თვითნებობას ეხსნება ფართე გზა“ და ეს მუხლები უარყოფილ იქნა. მართალია 7 მუხლი მაინც დარჩა მომქმედ კოდექსში, მაგრამ მას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ამ მუხლის განმსაზღვრელი 38 მ. განდევნილია.

უკრაინამ შესაძლებლად სცნო სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდება დამნაშავეთა წრესთან კავშირისა და დანაშაულებრივი წარსულის გამო (55 მ.) „საკითხი ამ ზომათა შეფარდებისა ასეთ სოციალურად საშიშ პიროვნებათადმი შეიძლება აღძრულ იქნეს პროკურატურის მიერ და მიუხედავად იმისა, მიცემულია თუ არა პა-

სუბსიგებაში რაიმე კონკრეტი ქმედობისათვის (უ. ს. ს. რ. სისხ. სამ. კოდექსის 34 მ.) ახლად შემოღებული საპროცესო კოდექსი უკრაინისა კიდევ უფრო აფართოვებს ასეთ შემთხვევებში პროკურატურის უფლებებს და ბრალდებულს არ აძლევს უფლებას პროკურორის გადაწყვეტილების განსაჩივრებისას. (393—403 მ. მ.) როგორც ვხედავთ, საქართველოს კოდექსი დაადგა უკრაინის გზას.

ჩვენი კოდექსით (19 მ.) მომზადებას ეფარდება სოციალური დაცვის ღონისძიება, როგორც დამთავრებულ დანაშაულს; იგივეა რუსეთის კოდექსშიც (19 მ.) რასაკვირველია, რომ არსებობდეს იმისთანა უტყუარი იარაღი, რომლითაც წინასწარ შეიძლება აღმოჩენილი გათვალისწინება თუ რას ჩაიდენს ესა თუ ის პიროვნება, მაშინ სრულიად მისაღებია პრინციპულად სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდება ისეთ პიროვნებათა მიმართაც, რომლებიც ჯერ-ჯერობით მხოლოდ ფიქრობენ დანაშაულზე; მაგრამ ასეთი იარაღი არ არსებობს და ამიტომ ადამიანის ფიქრს არა აქვს ბაჟი. ცდა ადამიანის შემდეგი მოქმედების გათვალისწინებისა ზუსტად მხოლოდ მარჩიელობა იქნებოდა; ამიტომ მომზადებასა და დასრულებული ქმედობას შორის იგივეობის ნიშნის დასმა იმავე თვითნებობას უხსნის გზას, რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ. ხშირად მომზადებასა და დასრულებულ ქმედობის შორის დიდი დროა. რამდენი აუარებელი ფაქტორებია მოსალოდნელი ამ პერიოდში, რომლებიც სხვა მიმართულებას მისცემენ პიროვნების მოქმედებას! ამის გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ გადასჭრა საკითხი უკრაინამ, რომლის სისხ. სამ. კოდექსის 18 მუხლი ამბობს: „დანაშაულისათვის მომზადება არ იწვევს სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდებას“.

ჩვენი კოდექსი არ ასხვავებს ცდას მომზადებისაგან და ორსავეს გულისხმობს „დაწყებულ დანაშაულში“ (19 მ.) ცდა ჩვენი კოდექსით შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დროს, — ასე გამოდის 19 მუხლიდან: უკეთეს დაწყებული დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, სასამართლომ სოციალური დაცვის იმ ღონისძიების არჩევის დროს, რაც ამ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კანონითაა გათვალისწინებული, მხედველობაში უნდა მიიღოს, თუ რამდენად საშიშია დანაშაულის ჩამდენი და რამდენად განხორციელებულ იქნა დანაშაულებრივი განზრახვა“ განზრახვის ბოლომდე მოყვანა გულისხმობს, რომ დანაშაულებს სურდა დანაშაულის შედეგი (პირდაპირი განზრახვა 9 მ. ა. პ.) და ან შეგნებულად მიანება მოქმედებას შედეგი მოპყლოდა (არა პირდაპირი განზრახვა 9 მ. ა. პ.) ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ თუ ცდა დანაშაულის დასაწყისია (19 მ.), მაშინ ის შესაძლებელია არა თუ ევენტუალური განზრახვის დროს, არამედ ყველა დანაშაულის ჩადენის დროსაც. ლოდიკურად სხვანაირად წარმოუდგენელია: არის შედეგი, უნდა იყოს დასაწყისი. თუ პრაქტიკულად მრავალ შემთხვევაში შეუძლებელია დანაშაულის დასაწყისი მომენტის დაჭერა, მისი გამხოლოება (ფორმალური დანაშაულის დროს), მრავალ შემთხვევაში არის შესაძლებელი ამისთანა მომენტის დაჭერა. ავიღოთ მაგალითი: A-ს გაუფარდა თოფი და მოჰკლა ამხანაგი (გაუფრთხილებელი მკვლელობა); B-საც გაუფარდა თოფი, მაგრამ ტყვია ასცილდა ამხანაგს რამდენიმე სანტიმეტრით ან მოხვდა ისეთ ადგილას სადაც ტყვიამ არ იმოქ-

მედა. პიროვნების საშიშროების თვალსაზრისით A და B შორის არავითარი განსხვავება არ არის, მათი ქმედობანი ხიფათიანობის ერთნაირს სიმპტომს გვიჩვენებენ და არავითარი საფუძველი არ არის მათ მიმართ განსხვავებული ზომების მიღებისა.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს კოდექსის მიერ ახლად შემოღებული პიროვნების რეაბილიტაცია, სასამართლოს განაჩენის გაბათილებით, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება, როგორც მოტივს დანაშაულის გამასწორებისას. ისეთ პირად, რომელიც სამართალში არ ყოფილა, ჩაითვლება: ა) ვინც სასამართლომ გაამართლა; ბ) ვინც პირობით იყო მსჯარდადებული, უკეთეს სასამართლოს მიერ დანიშნული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ახალი დანაშაული არ ჩაუდენია; გ) ვისაც გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა 6 თვემდე და ამ ღონისძიების მოხდის შემდეგ 3 წლის განმავლობაში ახალი დანაშაული არ ჩაუდენია ან ვისაც გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა 6 თვიდან 3 წლამდე, უკეთეს 6 წლის განმავლობაში ახალი დანაშაული არ ჩაუდენია (16 მ.) პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთ პირს შეუძლია კითხვაზე: — ყოფილხარ თუ არა სამართალში, უპასუხოს არაო.

სოციალური დაცვის ღონისძიება უნდა შეეფარდოს ყველა თანამონაწილეს: წამქეზებელს, აღმსრულებელს და დამხმარეს (17 მ.) გაუგებრობას იწვევდა ძველს კოდექსში დამხმარის ცნება დანაშაულის კვალისა და დანაშაულის დაფარვის შემთხვევაში. მიზანშეწონილად გადასჭრა ეს საკითხი ახალმა კოდექსმა, რითაც ბოლო მოუღო ყოველგვარ გაუგებრობას: „დანაშაულის ან დანაშაულის კვალის ისეთ დაფარვას, რაც დანაშაულის ჩადენისათვის ხელის შეწყობას არ წარმოადგენს... სოციალური დაცვის ღონისძიება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, რაც სისხლის სამართლის კოდექსით სპეციალურადაა გათვალისწინებული“.

ახალი კოდექსით, ქონების კონფისკაციის შეფარდება არ შეიძლება ყოველთვის, როცა სასამართლო ამას საჭიროდ სცნობს, არამედ „მხოლოდ ისეთი დანაშაულისათვის, რომლისთვისაც ეს ღონისძიება ამა კოდექსის კერძო ნაწილის ცალკე მუხლებითაა გათვალისწინებული“... (39 მ. მეორე ნაწილი).

ზარალის ანაზღაურება, როგორც სოციალური დაცვის ერთ-ერთი ღონისძიება, რომელსაც ღებულობს რუსეთი (რ. ს. ფ. ს. რ. სისხ. სამ. კოდექსის 20 და 44 მ. მ.), ჩვენმა კოდექსმა არ იცის.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერმინი „სასამართლო გამასწორებელი“ (სოც. დაცვის ღონისძიების ერთი სახე) მიუთითებს მხოლოდ სპეციალურს პრევენციაზე, მაშინ როდესაც ნამდვილად ამ ღონისძიებას სხვა მიზნებიც აქვს.

ივ. სურგულაძე.

საზირობა თუ არა სათემო სასამართლოების შემქნა?

როგორც იმხ. კაჭარავა ასაბუთებს, სათემო სასამართლოების დაარსებას დიდი მნიშვნელობა ექნება სოფლის ფართო მოსახლეობისათვის იმ მხრივ, რომ ამ ჟამად სოფლის გლეხმა თუ დაიწყო სამოქალაქო სარჩელი 10 ან

20 მანეთის რაოდენობით ხშირად საქმის წარმოება მეტი უჯდება (მისვლა—მოსვლა, გასაჩივრება და სხვა). ამას გარდა საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ძალზე დატვირთულ სახალხო სასამართლოებს მრავალი საქმე მოაკლდებათ, რაც მათ გაუადვილებს სხვა საქმეების დაუბრკოლებლად განხილვასა და დამთავრებას და მაშინ ადგილი აღარ ექნება იმ სამართლიან საყვედურს, რომელსაც ეხლა იწვევს საქმეების დაუსრულებელი წარმოება და ვაჭიანურება სასამართლოებში.

სათემო სასამართლოებას დაარსებით და მათთვის მცირე საქმეების გადაცემით ჩვენ შევქმნით სოფლის მოსახლეობისათვის ადვილად მისაწვდომსა და მის ინტერესებთან შეფერებულს სასამართლოს, მართალია ბევრს ეშინია—აქაო და სოფლის სასამართლოები მეფის დროის სასამართლოებს დაემსგავსება, იქნება მექრთამეობა, ხაჭაპურობაო სხვა, მაგრამ ამას ჩვენ არ უნდა შევუშინდეთ, ვინაიდან სათემო სასამართლოებს სათავეში ეყოლებათ უკვე გამოცდილი ხელმძღვანელები, როგორც არიან სახალხო მოსამართლეები.

რა საქმეები უნდა გადაეცეს სათემო სასამართლოებს? ჩემის აზრით მიზანშეწონილი იქნება გადაეცეს ყველა სამოქალაქო სასარჩლო საქმე, რომლის ფასი არ აღემატება ორმოცდა ათ მანეთს, ხოლო სისხლის სამართლის კი: საქმეები შესახებ სატყეო კოდექსის დარღვევისა 102 მუხ. გათვალისწინებულნი, რომელთაც თან ახლავს ზარალი 50 მანეთამდე, თვითნებობისა ს. ს. კ. 107 მუხ. გათვალისწინებული, განზრახ განადგურებისა და სხვა, რაც გათვალისწინებულია 202 მუხლში, თუ არ მივუმატებთ გალანძღვის და გალახვის საქმეებს, აღნიშნულთ ს. ს. კ. 177—178 მუხ. ამით საგრძნობად განიტვირთებიან სახალხო სასამართლოები, რომელნიც დღეს სწორედ ასეთი მცირე საქმეებით არიან დატვირთულნი და შებორკილნი

ი. მახუფლია.

კომლის ქონების განაწილების ერთი მომენტი¹⁾.

ჩვენი მიწის კოდექსის მნიშვნელოვანი მხარე კომლის შემადგენლობა და გაყრის საკითხებია. ჩვენი სოფლის დღევანდელს ცხოვრებაში ვერ ნახავთ ვერც ერთ სოფელს, რომ კომლის გაყრის მსურველთა რიცხვი ათეულებით არ ითვლებოდეს, კომლის გაყრის მოტივები მრავალია, მაგრამ ამ წერილში მინდა შევეხო მხოლოდ ერთს მომენტს: კომლიდან ქორწინებით სხვა კომლში შესულის (ქალის თუ ვაჟის) მდგომარეობას. მიწის კოდექსის 40 მუხლის შენიშვნა ამბობს: „ქორწინებით, ან გარეშე პირის მეკომურად მიღების წესით კომლში შესულ პირს იგივე უფლება აქვს კომლის საერთო მიწისა და ქონების სარგებლობაში, რაც ძირითად წევრს, და ეკარგება სხვა კომლში მიწის სარგებლობის უფლება.“ აქედან ცხადია, რომ ამ შენიშვნას აქვს ორი მხარე: ერთი—წასულის უფლებები ძველ კომლში და მეორე—მისივე უფლებები იმ ახალ კომლში, სადაც იგი შევიდა. ამ შენიშვნის შესახებ სხვადასხვანაირი აზრი არსებობს, თვით შენიშვნაში კი, ჩემის აზრით, მცირეოდენს უსწორობას აქვს ადგილი. ეს

უსწორობა იმაში გამოიხატება, რომ კომლში შესული წევრი ახალ კომლში იძენს საერთო მიწისა და ქონების სარგებლობის უფლებას მაშინ, როდესაც ძველ კომლში მხოლოდ მიწის სარგებლობის უფლებასა ჰქარავს. მიწის კოდექსის შესახებ ჩემი წერილის („მოამბე“ 1927 წ. № 1—2) ერთ ნაწილში ამ შენიშვნის შესახებ ვამბობდი—კარგი იქნება მიიღოს იმის უფლება, რისაც დაჰკარგავს ან დაჰკარგოს იმისი უფლება, რისაც ახალ კომლში მიიღო-მეთქი. მართლაც, თუ კომლიდან გასული წევრი ამ კომლის საერთო ქონების მონაწილეა, ასეთივე ქონების მონაწილე რად უნდა იქნეს ახალ კომლში? ან უკუღმა: თუ ქონების უფლებას ის ჰპოულობს ახალ კომლში, დატოვებულ კომლიდან რილასთვის უნდა მიეცეს წილი? ეს ხომ იმასა ჰგავს—„ჩემიც ჩემია და შენიც ჩემიაო.“

ჩვენი უზენაესი სასამართლოს განმარტება ამ საგანზე დაწერილებით არაფერს ამბობს, მასში მხოლოდ მოხსენებულია: „დაქორწინებით კომლის შემადგენლობაში შესული ამოშლილი უნდა იყვეს სხვა კომლის წევრობიდან“ (იუსტსახკომის გამოცემა 1927 წ. გვ. 31), ხოლო მიწ. კოდექსის 49 მუხლის განმარტებისას (იმავე წიგნში, გვ. 51) იგივე უზენაესი სასამართლო ამბობს, რომ „მათ (ზედსიძემ ან რძალმა) ახალ კომლში შესულით დაჰკარგეს თავისი უფლებები ძველ კომლში და გახდნენ ახალი კომლის სრულუფლებიანი წევრებიო.“ როგორც ჰხედავთ, ამ განმარტებებიდან მე ვიღებ არა ვადის, არამედ უფლებრივ მხარეს, ამ მხრივ კი ჩვენ იმავე განმარტებებში ვტყობილობთ (იმავე გვერდზე), რომ ახალ კომლიდან ქონებას გამოყოფის უფლება მიწაზე სხვა ვადით განისაზღვრება, ქონებაზე კი სხვით. უფრო გარკვეულ პასუხს იძლევა რუსეთის უზენაესი სასამართლოს განმარტება (ოქმი № 4, 1925 წ. 16/III), რომლის ძალით ქორწინებით გასულ წევრს ძველ კომლში მხოლოდ მიწაზე ეკარგება უფლება, ხოლო სხვა ქონებიდან წილის მიღება უსათუოდ შეუძლიანო. ჩვენის აზრით ეს განმარტება უსათუოდ სწორია.

რადგან ასეთია თვით მუხლის შინაარსიც. მაგრამ სულ სხვა აზრის არიან ამის შესახებ მაგალითად რუსეთში პ. გუროვი და საქართველოში მ. ქორქაშვილი. პირველი (გუროვი) თავის წიგნში (მიწის კოდექსი კითხვა-პასუხად, რუსეთის სახელგამის გამოცემა 1925 წ., გვ. 59) და მეორე (ქორქაშვილი) თავის ბროშურაში (საქართველოს იუსტსახკომის გამოცემა 1927 წ., გვ. 20) გადაჭრით ამბობენ, რომ ქორწინებით კომლიდან წასული წევრი თავის უფლებებს ჰკარგავს ძველი კომლის ყოველგვარ ქონებაზე. უნდა გამოვტყდეთ, რომ მუხლის მიხედვით ეს განმარტება სწორი არ არის, მხოლოდ, როგორც ზეითაც მოვიხსენიე, კარგი იქნება, რომ თვით მუხლიც ამნაირად იყვეს შესწორებული და მაშინ ეს განმარტებაც მისაღები იქნება.

აქ იბადება კითხვა: როდის, რომელი მომენტიდან ჰკარგავს კომლიდან გასული პირი თავის უფლებებს ამ კომლის ქონებაზე და რომელი მომენტიდან იძენს ასეთს უფლებებს ახალ კომლში?

ჩვენი უზენაესი სასამართლო (იგივე წიგნაკი, გვ. 51) განმარტავს, რომ ახალი კომლის წევრთათვის საკიროა ამ ახალ კომლში ყოფნა სამი წლის განმავლობაში, რომ მიწის გამოყოფის მოთხოვნის უფლება მიიღოს.

¹⁾ დისკუსიის წესით.

როგორც ჰხდავთ, ეს განმარტება მარტოოდენ მიწას ეხება, სხვა ქონების შესახებ კი იმავე გვერდზე ვკითხულობთ, რომ მისი გამოყოფის მოთხოვნის უფლება კომლში შესვლისთანავე ეძლევა. უპირველეს ყოვლისა გაუგებარია, თუ რით არის გამოწვეული ხსენებულ უფლებათა მიღების ვადების სხვაობა, როდესაც კანონში ამის მგასვლიც კი არაფერია. კანონში არაფერია აგრეთვე საერთოდ ასეთი ვადების შესახებ, რის გამო, კ. მიქელაძის სიტყვით რომ ვსთქვათ („საბჭ. სამ.“ № 9, გვ. 229) „ეს განმარტება არ გამომდინარეობს კანონის ხსენებული დადგენილების პირდაპირი აზრიდან“ და „განსაზღვრა ამ მონაწილეობისა სამი წლის ვადით წარმოადგენს კანონის შეესებას...“ ამავე დროს ასეთი შეხედულება კ. მიქელაძეს სამართლიანად მიაჩნია შრომითი მეურნეობის პრინციპების მიხედვით.

განვიხილოთ ეს მხარეც.
რ. ს. ფ. ს. რ-ს უზენაესი სასამართლოს აზრით ახალ კომლში ქორწინებით შესულისათვის კანონში არ არის აღნიშნული ვადა გამოყოფის მოთხოვნის უფლების მოსაპოვებლად და ეს უფლება კომლში შესულს ენიჭება შესვლისთანავე. („საბჭოთა იუსტიციის ყოველკვირეული“ 1926 წ. № 2, გვ. 63).*) ახეთივე აზრს ანვითარებს მიხ. ქორქაშვილიც (იქვე, გვ. 20) რომელი პრინციპია უფრო სამართლიანი? ჩემის აზრით, უკანასკნელი და აი რატომ. თუ ოჯახიდან ქორწინების გამო გასულმა უფლება ძველ ოჯახში გასვლის დღიდანვე უნდა დაჰკარგოს, მაშასადამე, მისი ნაპროვი, თუნდაც მხოლოდ მიწაზე, რაც კანონში აშკარადაა გამოთქმული კომლის სხვა წევრებს რჩება, რაა გასაკვირველი, ასეთსავე უფლებას ახალ ოჯახში შესვლისთანავე მოიპოვებს? თუ ვიტყვით, რომ მას ახალ ოჯახში ჯერ შრომა არ მიუძღვის და მისთვის ამთავითვე უფლებების მიცემა შრომითი მეურნეობის პრინციპების დარღვევა იქნება, მაშინ ნუთუ იმავე პრინციპების დარღვევა არ არის ის, რომ 25—30 წელიწადი ადამიანი შრომობს ერთ ოჯახში და სხვა კომლში ზედსიძედ ან რძლად შესვლის გამო თავის ნაოფლარზედ ხელი ააღებინოთ?!

მაგრამ იმდენად, რამდენადაც სასოფლო-სამეურნეო კომლზე და მის ქონება-ინვენტარზე კერძო საკუთრება არ არის, რამდენადაც იგი შრომითი სარგებლობის პრინციპებზედაა დამყარებული, არაფერი ამის საწინააღმდეგო არ უნდა დავინახოთ იმაში, რომ ოჯახს წევრი მოაკლდა, მისი ნაშრომი სხვა წევრებს დარჩათ მაგრამ იგი სხვა კომლში შევიდა და ამ კომლში გახდა საერთო საკუთრების მონაწილე. აქ ზედმეტია იმის შიში, რომ კომლი დაიშლება და დაქუცმაცდება, ვინაიდან, თუ გვენანება ის ახალი კომლი, რომელშიაც ახალი წევრი ქორწინებით შედის და გამოყოფის უფლებას იძენს, მაშინ რატომ არ უნდა გვენანებოდეს ის წევრიც, რომელშიც სხვა (ძველ) კომლში თავისი უფლებები დაჰკარგა. (მაგრამ არ უნდა დაგვაიწყდეს ის გარემოება, რომ ეს ეხება ქორწინებით გასულს და სხვა კომლში შესულ წევრს, თორემ ვინ არ იცის, რომ კომლიდან სხვა გზით გასულს

ძველი ოჯახის მიმართ სხვა უფლებები აქვს). არ უნდა გვეშინოდეს კომლის დაღუპვისა მით უფრო, რომ, თუ კომლში ახლად შესული წევრი უსაფუძვლოდ, უშრომლად მოინდომებს ოჯახიდან წილის გამოტანას, მის მოქმედებას კბილებს კარგად გაუსინჯავენ და ისე „მისცემენ თავის წილს...“ ასე ჰმარტავს ამ ნაწილს თითქმის ყველა კომენტატორი, და ეს ასეც უნდა იყოს.

ახლა შევეხოთ იმ მხარეს, თუ კომლიდან ქორწინებით გასულისა და ახალ კომლში შესულისათვის რა მნიშვნელობა აქვს საოჯახო სიებში რეგისტრაციას. ჩვენთვის აშკარაა კანონის აზრი, რომ კომლში მომხდარი ყოველგვარი ცვლილება რეგისტრირებული უნდა იყოს. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ქალი ან ვაჟი დაქორწინდა, „მმაჩში“ იყო, ხოლო საოჯახო სიებში ცვლილება (რეგისტრაცია) არ მოუხდენათ. რომელი დღიდან დაკარგა მან უფლება ძველ ოჯახში, ან რომელი დღიდან მიიღო ეს უფლება ახალ ოჯახში? ზოგიერთს ჩვენს და რუსეთის მრავალ მოსამართლესაც ეგონა და ჰგონია, რომ თუ რეგისტრაციაში არ გატარდა რომელიმე წევრი, იგი ახალ ოჯახში უფლებას ვერ მიიჩივებს და, მაშასადამე, არც ძველ კომლში დაუკარგავს უფლებას. ასეთი შეხედულება კი, რატომ უნდა, შემცდარია. ე. დობროვსკი ამბობს: რეგისტრაციაში თუ ხართ გავლილი, თქვენს უფლებებს უფრო ადვილად დამტკიცებთ, თუ არა და დამტკიცება გაძნელებად (იხ. მისი წიგნაკი, გამოცემა რუსეთის იუსტსახკომისა 1927 წ., გვ. 8); ასეთივე აზრისაა ჩვენში იგივე მ. ქორქაშვილი (მისი წიგნაკი გვ. 16) და სწორედ ასეთია განმარტება რუსეთის უზენაესი სასამართლოსი, რომელიც ამბობს, რომ ახალ კომლში ქორწინებით შესული წევრი უფლებიანი ჰხდება კომლში ფაქტიურად შესვლის თანავე და არა რეგისტრაციის დღიდანო („საბჭ. იუსტ. ყოველკვირეული“, 1926 წ. № 2). ამნაირადვე განმარტავს ეს მუხლი საქ. უზენაესი სასამართლომაც (იგივე წიგნაკი, გვ. 48), და აქედან ცხადია, რომ რეგისტრაცია არის გაფორმება, გადავილება კომლის უფლებების ჩააოსაყალიბებლად, ხოლო რეგისტრაციაში გაუტარებლობა საქმის ფაქტიურ მდგომარეობაზე გავლენას ვერ მოახდენს, თუ ეს მდგომარეობა სათანადოთ იქნება დამტკიცებული.

ამიტომ მე ვამბობ: ა. მიწ. კოდექსის 40 მუხ. შენიშვნა უნდა შევივსოს იმ მხრივ, რომ ქორწინებით ახალ კომლში შესული პირის მიერ ამ კომლში მოპოვებული უფლება ისეთივე უნდა იყოს, როგორც დაჰკარგა ძველ კომლში, ან თუ ახალ კომლში მოიპოვა სრული უფლება ყველაფერზე, ასეთი უფლება უნდა დაჰკარგოს ძველ კომლში (მისაღებად უფრო მეორე დებულება მიმართა); ბ. ახალ ოჯახში უფლების მოპოვების ვადა განსაზღვრული არ უნდა იყოს და ეს მუხლი უცვლელად დარჩეს, ვინაიდან ძველ ოჯახში უფლების დაკარგვასაც არა აქვს ვადა; გ. ქორწინების მიზეზით კომლში მომხდარი ცვლილება რეგისტრირებული უნდა იყოს, მაგრამ რეგისტრაციობა უფლებრივ მხარეს ვერ უნდა სცვლიდეს, როგორც ეს არის დღესაც.

განხილულ გარემოებათა ასეთი გაგება, ვფიქრობთ, უფრო დაახლოვებულია ჩვენი გლენკაცობის ცხოვრების სინამდვილესთან, ხოლო ამის საწინააღმდეგო მდგომარეობის შექმნა მეტისპეტად ასწეწავს ისედაც ჯერ კიდევ გაუმაგრებელ ჩვენს სასოფლო მეურნეობას.

მიხ. ხერხეულიძე.

*) ასეთივე განმარტებები რუსეთის უზენ. სასამართლოს ადრეც ჰქონდა: ოქმი 1924 წ. 24/XI, მოთავსებული „საბჭოთა იუსტიციის ყოველკვირეულში“ № 50—1924 წლისა, გვ. 1215 და № 10—1925 წლისა, გვ. 248, სადაც აშკარად არის ნათქვამი, რომ ვადა ეხება საერთოდ ოჯახიდან წასულის უფლებების ხანდაზმულობას და არა ოჯახში შესულისას.

სასამართლოს ბაჟისაგან განთავისუფლება იმ სარჩელისა, რომელიც გადაცემულ იქნა სამოქალაქო სასამართლოში სისხლის სამართლის სასამართლოდან ს. ს. ს. კ. 17 მუხლის თანახმად.

ს. ს. ს. კ. 17 მუხლის თანახმად, უკეთეს ბრალდებული განაჩენის დადგენამდე გარდაიცვალა, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე მოისპობა ხანდაზმულობისა, ამნისტიისა და მხარეთა შერიგების გამო ან და ამა კოდექსის მე-4¹ მუხლისამებრ, სამოქალაქო სარჩელი გადაიცემა განსახილველად საერთო წესისამებრ. სისხლის სამართლის საქმის მოსპობით ბრალდებულის სიკვდილისა, ხანდაზმულობის გასვლისა, ან მხარეების შერიგების გამო ისპობა საფუძველი, რომლის ძალით სამოქალაქო სარჩელი განიხილება სისხლის სამართლის სასამართლოში. ამ სარჩელის სისხლის სამართლის სასამართლოში დაშვებას მოითხოვს როგორც დროის ეკონომია, ისე მართლმსაჯულების ორგანოების და თვით დაზარალებულის ინტერესები, როცა ერთდროულად ერთსა და იმავე სასამართლოში შესაძლებელია გამორკვეულ იქნას თვით ბოროტმოქმედება, დამნაშავენი, აგრეთვე სამოქალაქო სარჩელიც. მაგრამ უკეთეს სისხლის სამართლის საქმეს, ს. ს. ს. კ. მე-4 მუხლის თანახმად არ ექნება ადგილი, სამოქალაქო სარჩელი, როგორც სისხლის სამართლის საქმის დამატება, თავის თავად განცალკევებული რჩება და განიცდის სამოქალაქო სარჩელის საერთო ბედს.

საერთო წესისამებრ სამოქალაქო სარჩელის სამოქალაქო სასამართლოში ს. ს. ს. კ. 17 მუხლის თანახმად გადატანის გამო, მოსარჩლეს არ უნდა გადახდეს სასამართლოს ბაჟი. ეს მოსაზრება ემყარება შემდეგ საფუძველს:

ა) სასამართლოს ბაჟის გადახდა, კანონის ძალით უნდა მოხდეს სარჩელის წარდგენის დროს (ს. ს. ს. კ. 82 მუხლი) სარჩელი კი უკვე წარდგენილი იყო სისხლის სამართლის საქმეში და ის ს. ს. ს. კ. 16 მუხლის ძალით განთავისუფლებული იყო ბაჟისაგან, მაშასადამე მისი შემდეგი სვლა კანონით უკვე უზრუნველყოფილია და სამოქალაქო სასამართლოს არ შეუძლია შეხედოს მას, როგორც ახლად წარდგენილ სარჩელს;

ბ) ს. ს. ს. კ. 17 მუხლის სუსტი საფუძველით ასეთი სარჩელი „გადაცემა“ განსახილველად საერთო წესით, ე. ი. სისხლის სამართლის სასამართლო უშუალოდ გადაუზავნის მას სამოქალაქო სასამართლოს;

გ) ს. ს. ს. კ. 17 მუხლში ის კი არ არის ნათქვამი თითქო ასეთ შემთხვევაში დაზარალებულს უფლება ეძლევა დაიწყოს სარჩელი საერთო წესით, პირიქით, სარჩელი უკვე ითვლება დაწყებულად, წარდგენილად, ხოლო ის არ გაირჩევა სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ და გადაცემა სამოქალაქო სასამართლოს;

დ) სისხლის სამართლის სასამართლოს არ შეუძლია მისი განხილვა, ვინაიდან ბრალდებული არ არის და განხილვა კი საქმისა, რომელზედაც სამოქალაქო სარჩელი წარდგენილი იყო, გამწესრიგებელ სხდომაზე შეუძლებელია.

ე) შეუძლებელია, რომ საქმის გადაცემის გამო დაზარალებულს ჩამოერთვას ის შეღავათი, რომლითაც ის სარგებლობდა ს. ს. ს. კ. 16 მუხლის ძალით, რომ ის არც უარეს პირობებში უნდა იქნეს ჩაყენებული, ვინაიდან პროცესის მსვლელობის შეცვლაში ის პირადად დამნაშავე არ არის.

ვ) რაკი მან აირჩია ისეთი ვაზა სარჩელის წარდგენისა, რომელიც ანთავისუფლებს მას გადასახადისაგან, მან უკვე მიიღო შეღავათი, რომლის ჩამორთმევაც სასამართლოს უკვე აღარ შეუძლია.

სასამართლო და მხოვრება.

მოკლე ცნობები დუხეთის მაზრის პროკურორის საქმიანობიდან.

მ ა კ ვ ლ ე ვ ი ს დარგში.

პროკურორის მიერ არ არის წარმოებული აღნუსხვა მისი მუშაობისა, როგორც მოკვლევის დარგში, აგრეთვე დანარჩენ ყველა დარგში. არ ჰქონია შემოღებული ყოველთვიური კალენდარული გეგმა თავის მუშაობის, რომლის უქონლობის გამო შეუძლებელია გამორკვევა დეტალურად, თუ რა მუშაობა აქვს მას ჩატარებული, ან როდის რომელი რაიონი დაათვალიერა, რა დეფექტები იყო აღმოჩენილი და რა განმარტებები და მითითებები მიეცა. მისი მუშაობა ატარებს ზეპირ ხასიათს. მთელი რიგი მოკვლევების დათვალიერებით გამოირკვა, რომ რაიონის მილიციები—აგრეთვე მაზრის მილიცია პროკურორს უგზავნიან მოკვლევებს არა კანონიერად. მათ მიერ არ არის დაცული საპრ. კოდ. 105 მუხ. მაგალითად მოკვლევის მიხედვით ვინმეს ედება ბრალი ისეთ დანაშაულში, რომლითაც სოც. დაცვის ღონისძიება ერთ წელს აღემატება, უგზავნიან პროკურორს ან უშუალოდ სასამართლოს თანახმად სისხ. სამ. საპრ. კოდ. 105 მუხ. მე-3 პუნქტისა, სინამდვილეში ასე-

თი კი უნდა ეგზავნებოდეს გამოძიებელს. პროკურორის მიერ არ არის მიტყეული ამ გარემოებაზე არავითარი ყურადღება, აგრეთვე მოკვლევების მოსპობა ხდება არა სისწორით. ყველა მოკვლევები მოსპობილია სისხ. სამ. საპრ. კოდ. მე-4 ან მე-4¹ მუხ. დანაშაულის ნიშნების უქონლობისა, ან მიზანშეუწონლობისა გამო. სინამდვილეში კი პროკურორს მოკვლევები უნდა მოესპო სისხ. სამ. საპრ. კოდ. 222 მუხ. თანახმად; აგრეთვე კვალიფიკაციაც მოკვლევებზე არ არის სწორი.

1) მოკვლევა № 830—26/XII—27 წ. სანდრო გულიშვილი გაუძარცავს მასთან ერთად ტფილისიდან მიმავალ მისთვის უცნობ მგზავრს, რომელსაც საქმელის ჰუმის დროს დაურტყამს ჯოხი თავზე, რომლის გამო გულიშვილი წაქცეულა და გული წასვლია. ამ დროს უცნობს გაუხდია მისთვის შინელი, ამოუღია მისთვის 50 მანეთი ფული და სხვა ნაგავი ნივთები და მიმალულა. ეს საქმე კვალიფიკაცია ქმნილია სისხ. სამ. კოდ. 189 მუხ. სინამდვილეში კი ადგილი აქვს 190 მუხლის ქმედობას და მოკვლევა მოსპობილია, თანახმად 2 ნოემბრის 1927 წ. ამნისტიისა. მოკვლევით არ არის გამორკვეული და აღმოჩენილი თვით ბოროტ-მოქმედი, რისთვისაც საქმე უნდა მოსპობილიყო სისხ. სამ. საპრ. კოდ. 222 მუხ. ბოროტმომქმედის აღმოჩენილობის გამო.

თ) ამ შემთხვევაში სახელმწიფო ეხმარება დაზარალებულს მით, რომ აძლევს მას საშუალებას აღადგინოს თავისი დარღვეული უფლება და თავიდან აშორებს ჩვეულებრივ შრომას, რომელიც თან სდევს სამოქალაქო სასამართლოში სარჩელის წაყენებას.

უ) გამოცემული ინსტრუქციის 1924 წ. 8 ნომბერს იუსტსახკომის მიერ ამნისტიის შეფარდების შესახებ, 9 მუხლის თანახმად სისხლის სამართლის საქმის მოსპობის შემდეგ, რომელზედაც წარდგენილი იყო სამოქალაქო სარჩელიც, ეს უკანასკნელი განიხილება სამოქალაქო სასამართლოში, რომელსაც ის გადაეცემა ამნისტიის შეფარდების შემდეგ. ამ მუხლის შენიშვნაში ნათქვამია, რომ ამგვარ საქმეებზე სასამართლო ბაჟი არ გადახდება.

კ. პლეტნიკოვი.

იურიდიული და ფაქტიური სიმართლე და დამცველი*

მრავალ სამართლიან და უსამართლო ბრალდებათა შორის ხშირად ვეკილებს იმასაც აბრალებენ ხოლმე, რომ ისინი ყოველგვარს, კუჩუკან საქმესაც კი ლებულობენო. ბევრი დაწერილა საერთოდ ადვოკატის ეთიკის შესახებ, ბევრი მკვერმეტყველება დახარჯულა ამ საკითხებზე და ძნელია რისიმე ახალის თქმა,—ჩვენ გვსურს ყურადღება მივაქციოთ მხოლოდ ერთს საკითხს: როგორი საქმეების აღება შეუძლია ვეკილს და როგორის არა.

ჩემის აზრით ამ საკითხის გამორკვევამდე უნდა გადაჭრილი იქნეს საკითხი: რისთვისაა მოწოდებული ვეკილი, დამცველი? რა ევალება მას საქმეში? რა არის მისი დანიშნულება?

* დისკუსიის წესით.

აგჰყვეთ ვეკილს მოქმედების დასაწყისიდანვე და ვნახოთ, რა ხასიათისაა მისი მუშაობა. ვეკილთან მიდის მოქალაქე, რომელსაც სადაო საქმე აქვს მეორე მოქალაქესთან. ვეკილი მოუსმენს მოქალაქეს, გაეცნობა საბუთებს, გმმობარკვევს ყველა მხარეს საქმისას და შემდეგ ამისა მასალის მიხედვით შეუდგება იურიდიული კაზუსის ანალიზს და იურიდიულად გადაჭრას.

ვეკილი საქმის ფაქტიური მხარის შესახებ იძულებულია ერწმუნოს მოქალაქეს, ვინაიდან მას სხვა არავითარი საშუალება არ მოეპოვება გაიგოს სიმართლე უამბო თუ არა მას კლიენტმა.

პირველი საკითხი, რომელიც ვეკილმა უნდა გადასწყვიტოს, ისაა,—მართლა დარღვეულია თუ არა მოქალაქის უფლებები, ან იურიდიულად სწორია თუ არა მისი პრეტენზია?

სამოქალაქო საქმეში სრულიად არ არის საკითხი: მართალია თუ მტყუანია ესა თუ ის მხარე. სამოქალაქო საქმეში საკითხი მხოლოდ ასე სდგას: რომელ მხარეზეა „იურიდიული სიმართლე“, ვინაიდან „იურიდიული სიმართლე“ და „ფაქტიური სიმართლე“ ერთი და იგივე არ არის. შესაძლებელია მოქალაქის პრეტენზია ფაქტიურად სრულიად მართალი იყოს, მაგრამ იურიდიულად მდგომარეობა უმწეო აღმოჩნდეს, თუ არავითარი საშუალება ამ „ფაქტიური სინამდვილის“ გამომყვანებისა არ მოიპოვება.

მართალია, რომ x-მა y-ს ათასი მანეთი ასესხა, მაგრამ თუ უკანასკნელი ამას უარჰყოფს და x-ს კი არავითარი საბუთი ამ ფაქტის დამამტკიცებელი არა აქვს, იგი „იურიდიულს სიმართლეს“ ვერ მოიპოვებს.

ან კიდევ მაგალითი: x-მა y-ს ათხოვა ან მიაბარა რამე ნივთი ათას მენეთად ღირებული; y-ი აღარ უბრუნებს ნივთს და აცხადებს, რომ ნივთი მან იყიდა; მოწ-

2) მოკვლევა № 4092—11/VII—27 წ. კოლია ბ. ა. ს. ი. ლ. ა. შ. ვ. ი. ს. ბრალდებისა გამო სირან გელა-შვილის მოტაცების ხელყოფაზე, მოკვლევა მოსპობილია დანაშაულის ნიშნების უქონლობისა გამო, მოკვლევაზე დართულია ბრალდებულის მიერ წარმოდგენილი წერილი როგორც ქალის მინაწერი დაზარალებული უარჰყოფს წერილის მიწერას, მილიციის დადგენილებით, ეს წერილი ცნობილია, როგორც დაზარალებულის მიერ დაწერილი მხოლოდ კალიგრაფიული ექსპერტიზა არ არის მოხდენილი.

3) მოკვლევა № 6488—1/XII—27 წ. ექვმიტანით დაპატიმრებული არსენ ბედოშვილის ბრალდებისა გამო მოქ. ნინა კავთაროვის ბინის გაქურდვაში, საიდანაც გატანილი ყოვილა ნივთები 300 მანეთის. მოკვლევა მოსპობილია მიზანშეუწონლობისა გამო. მოსპობა 300 მანეთის ნივთების ღირებულების საქმისა მიზანშეუწონლობისა გამო დაუშვებელია. მოკვლევაში არსებული მასალების მიხედვით მოკვლევა უნდა მოსპობილიყო მხილებათა სიმცირის გამო.

4. მოკვლევა № 58—21/III—28 წ. მომართვა საპროკურატურო განყოფილების 10/I № 520 და გახეთი „ახალი სოფელი“ № 161—29/II—27 წ. წერილი სათაურით: „გიჟი მილიციონერი“ ანანურის მილიციის სადარაჯოს უფროსის ნიკოლოზ შაბუროშვილის საქციელის

შესახებ, მოკვლევა მოსპობილია მიზანშეუწონლობისა გამო. მოკვლევით კი დადასტურებულია, რომ მოქ. შაბუროშვილი ლოთობდა ადგილობრივ ჩაჩებთან და რომ მას უცეკვია სადარაჯოს შენობაში ხალხის თანდასწრებით ტიტველა. ამის გამო წინადადება მიეცა მოკვლევა ესე გადაეცეს გამომძიებელს წინასწარ გამომძიების მოსახდენად სისხ. სამ. კოდ. 112 მუხ. ნიშნებით. პროკურორის მიერ 1927 წ. არის დათვალეგრებული 5 სამილიციო რაიონი, ხოლო რაში გამოიხატება ეს დათვალეგრება და რას მიაქცია მან ყურადღება დათვალეგრების დროს, ამის გამორკვევა შეუძლებელია, ვინაიდან ასეთი არსად აღნიშნული არ არის.

ხგამომძიებლო დარგში.

არსებობს ყველა გამომძიებელთან მყოფ საქმეებზე სათვალყურო წარმოება, რომლებშიაც არის მარტო გამომძიებლის მიერ გამოგზავნილი მაუწყებელი, გარდა ამისა არაფერი არ მოიპოვება. მაუწყებლების მიხედვით და სათვალყურო წარმოებისა ზოგიერთ საქმეებზე არჩეულია პატიმრობითი აღმკვეთი ზომა, სინამდვილეში პატიმარი განთავისუფლებულია და პროკურორს არ აქვს ასლი დადგენილებისა, როგორც პატიმრობით აღმკვეთი ზომის არჩევაზე, აგრეთვე ასეთის შეცვლაზე. სათვალყურო წარმოებაში არ არის აღნიშნული იყო თუ არა საქმე დამთავ-

მეებიც ადასტურებენ, რომ მართლა იყიდა. ამ შემთხვევაში მიუხედავად „ფაქტიური სიმართლისა“ X-ი „იურიდიულს სიმართლეს“ ვერ მიაღწევს.

ვექილი? ვექილს არა აქვს არავითარი საშუალება „ფაქტიური სიმართლე“ იძიოს და მას ეს არც ევალება, ვინაიდან იგი ვექილია, იგი იურისტი, იგი იცნობს კანონებს და საქმის მასალას აფასებს როგორც იურისტი მხოლოდ და მხოლოდ კანონის თვალსაზრისით.

ვიმეორებთ, ყოველი საქმე ვექილისათვის იურიდიული ამოცანაა, კახუსია. მას შეიძლება მიეცეს კითხვა: როგორ სწვევებს კანონი ამა თუ იმ საკითხს, ხოლო სწორია თუ ყალბი თვით ფაქტი—ეს ვექილს არ შეეხება.

ვექილს უფლებაც კი არა აქვს გარეშე თვისი კლიენტისა და წერილობითი საბუთებისა იკვლიოს ფაქტიური სიმართლე: მას უფლება არა აქვს კლიენტის მოწვევები დაიბაროს და გამოჰკითხოს, კლიენტი უამბობს ვექილს თავის გასაკირს, ვექილიც ხალას ჭეშმარიტებად ღებულობს კლიენტის ნაამბობს და იურიდიულ რჩევა-დარიგებასაც აძლევს მას, თუ რა და რა საბუთები უნდა იქონიოს, შეიძლება თუ არა მოწვევების დაკითხვა, რა უნდა სთქვან მოწვევებმა,—დიად, „რა უნდა სთქვან“, მაგრამ არა მოგონილი და მოჭორილი, არამედ როგორს ჩვენებას აქვს იურიდიული ძალა, როგორს არა, როგორი სარჩელი უნდა იქნას აღძრული, ან რა უნდა მიუგოს სარჩელზე და სხვადასხვა.

ვექილი სასამართლოში მიდის იურიდიული საბუთებით შეიარაღებული; იგი მტკიცედ დარწმუნებულია „იურიდიულს სიმართლეს“ იმის მიხედვით, თუ რა უამბო მას კლიენტმა, რა საბუთები მოუტანა, და, თუ ისიც აქვს გათვალისწინებული, რა შეუძლია მოწინააღმდეგემ უპასუხოს, მას თავისი მოვალეობა პირნათლად აქვს შესრულებული.

რებული და რა წინადადებები ან მითითებები იყო მიცემული.

სასამართლოს დარგში.

სათვალყურო წარმოებებში არ მოიპოვება განაჩენის ასლები და ამონაწერები გამწესრიგებელ სხდომის დადგენილებისა. ამის მიზეზი არის ის რომ სასამართლოები ასეთებს პროკურორს სრულიად არ უგზავნიან. აგრეთვე არ მოიპოვება ცნობა განაჩენის სისრულეში მოყვანის შესახებ და თვით პროკურორმა არ იცის, თუ რა წესით უნდა იქნეს შესრულებული ის განაჩენი, რომლითაც ბრალდებულს გადაწყვეტილი აქვს პატიმრობითი სოც. დაცვის ღონისძიება და ასეთი მისი გამოტანის დროს მიღებული არ იყო. პროკურორის მხრივ სასამართლოს საქმეების დათვალეირებას ადგილი არ ჰქონია. თუ რამდენჯერ მიუღია მონაწილეობა პროკურორის სასამართლოს პროცესზე, ან გამწესრიგებელ სხომაზე 1927 წ. მისი გამორკვევა შეუძლებელია, ასეთის აღუნუსხველობისა გამო.

საერთო ზედამხედველობის დარგში.

გამორკვევა იმისა, თუ რამდენჯერ მიუღია მონაწილეობა აღმასკომის სხდომაზე, ან სხვა ორგანოების სხდომაზე და რა წინადადებებს ან განმარტებებს ჰქონდა ადგილი შეუძლებელია ზემოაღნიშნულ აღუნუსხველობისა გა-

ჩემის აზრით, ნათქვამიდან თამამათ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვექილს არ შეუძლია და არც ევალება „ფაქტიური სიმართლე“ იძიოს და მაშასადამე მისთვის არც არსებობს „ჭუჭყიანი“ და „სუფთა“ საქმე.

მაგრამ ხომ შეიძლება პროცესის დროს დარწმუნდეს ვექილი, რომ მის კლიენტის მხარეზე არ არის არც „ფაქტიური“ და არც „იურიდიული სიმართლე“ და მაშინ როგორ უნდა მოიქცეს იგი?

ერთი ის, რომ ძალიან იშვიათია ისეთი საქმე, სადაც რამდენიმე იურისტი ერთს აზრს დაადგეს (ვინაიდან ეს ძნელია, თუ არის შესაძლებელი) და მეორეც ისა, რომ აბსოლიუტურად გამორკვევა „ფაქტიური სიმართლისა“ შეუძლებელია, თუ თვით არა ხართ მნახველი, მონაწილე, დამსწრე „ფაქტისა“. არავითარი გარანტია უტყუარობისა არა გვაქვს არც მოწვეთა ჩვენებაში და არც წერილობითს საბუთებში. მაგრამ, თუ რომელსაზე იშვიათ შემთხვევაში ვექილი ღრმად და მტკიცედ დარწმუნდა, რომ მის კლიენტის მხარეზე არ არის „ფაქტიური სიმართლე“, მან ხელი უნდა აიღოს საქმეზე. ამას მოითხოვს მისი სულიერი სიმშვიდე, ხოლო იურიდიულად სავალდებულო საქმეზე ხელის აღება არც ამ შემთხვევაშია.

ერთი რამ არის დაუშვებელი ვექილისათვის: მან თითონ არ უნდა შეამზადოს, არ უნდა შექმნას „იურიდიული სიმართლე“, თუ „ფაქტიური სიმართლე“ არ არსებობს.


„ფაქტიური სიმართლის“ წინააღმდეგ რომ შეიძლება „იურიდიული სიმართლის“ დაცვა: ამას ამტკიცებს თვით კანონიც, აი მაგალითები: თამასუქი არ ჰკარგავს ძალას უფულობის გამო, ე. ი. ფული გადახდება იმასაც, ვინც მხოლოდ მეგობრული თამასუქი გასცა, ან კიდევ: რაც უნდა აშკარა უფლება არსებობდეს, მისი დაცვა არ შეიძლება სამი წლის განვლის შემდეგ.

მო. 1927 წ. ოქტომბრამდე პროკურორს დაუთვალეირებია 11 თემალმასკომის და გლეხკომების მუშაობა, ხოლო რაში გამოიხატა ეს დათვალეირება და რა განმარტებები ან მითითებები იყო მიცემული არ სჩანს, ვინაიდან ასეთი დათვალეირება წერილობითი არ ხდებოდა.

რაც შეეხება თავის ინიციატივით რაიმე ზომების მიღებას ან მოკვლევის მოხდენას თვითდაბეგვრის, მევახშეობის, ბაზარზე ხელოვნურად ფასების გადიდების და სხვა საკითხზე ადგილი არ ჰქონია. აგრეთვე არ არის მიქცეული ყურადღება და სათანადო ზომები მიღებული მაზრაში არსებულ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივ ბოროტ-მოქმედებების საქმეებზე, როგორიც არის დუშეთის მაზრაში თანამდებობრივი დანაშაულის საქმეები, ქალის მოტაცება, მკვლელობა და სხვა. არც ერთ ზემო აღნიშნულ საქმეებზე საჩვენებელი პროცესი არ მოწყობილა და ბოროტ-მოქმედების წინააღმდეგ არავითარი რეპრესიული ზომები არ არის მიღებული, რასაც მოწმობს ის რომ გამოძიებაში მყოფი 24 საქმიდან—15 არის თანამდებობრივი დანაშაულისა და მათ შორის ერთი არის საპატიმრო.

კულტურულ-უფლებრივ დარგში.

1927 წ. პროკურორის მიერ დაარსებული ყოფილა 11 თემში იურიდიული დამხმარე ბიუროები, რომლის დაარსების დროს მის მიერ არის გაკეთებული მოხსენება



თუ კანონით გათვალისწინებული საბუთები ჩემს მხარეზეა, არავის უფლება არა აქვს დამძარხოს იმისათვის, რომ მე ვსარგებლობ კანონით მონიჭებული უფლებით. თუ საზოგადოების მორალი, სინილისი ვერ ურიგდება ამას, სჩანს კანონი დაძველებულია, ჩამორჩენილა ცხოვრებას და დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს, ხოლო სანამ იგი არ გაუქმებულა, მოქალაქეს ვერაფერს დასძარხავს ამ კანონით სარგებლობისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველივე აზრი დაეკარგებოდა დაწერილს კანონს. დაწერილს კანონს საფუძვლად უდევს ის პრეზუმპცია, რომ უწყებულები ხნის განმავლობაში (ერთი საათიდან რამდენიმე წლამდე) არ შეიცვლება არც ეკონომიური ურთიერთობა და არც საზოგადოებრივი მორალი.

თუ ეს კანონი ანიჭებს მოქალაქეს უფლებებს განსაზღვრული პირობების მიხედვით, ზედმეტია უზნეობაზე ლაპარაკი, როდესაც ამ უფლებებისათვის ვინმე იბრძვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ დებულებას, რომ კანონი ამორალურია, უზნეოა.

ამრიგად „ჰუტყიანია“ მხოლოდ ის საქმე, რომელიც მხარეებმა შეგნებულად წინასწარ მოაქაზარაკეს, ეს იცის ვეკილმა, ღებულობს ასეთს საქმეს და თვითონაც შეაქვს თვისი წველი „საქმის შექმნაში“.

ხომ განთავისუფლებულია საბჭოთა კანონებით მოსამართლე ყოველივე „ფორმალობისგან“, მას, დადგენილება გამოაქვს თავისი „რეგოლიუციური სინილისი“ კარნახით, მაგრამ ეს „რეგოლიუციური სინილისი“ უნდა დაემყაროს საქმის მთელ ვითარებას და მხოლოდ იმ საბუთებს, რომელიც საქმეშია.

ცხადია, საზომი „იურიდიულ სიმართლისა“ ყოფილა არა აბსოლიუტურად თავისიუფალი სინილისი მოსამართლისა, არამედ ის იურიდიული საბუთები, რაც მოსამართლეს მოეპოვება საქმეში.

რეგოლიუციურ კანონიერებაზე. თვით დღეში და არსებულია ერთი საზოგადო ბრალმდებელთა ბიურო 6 წევრიდან, რომელსაც ხელმძღვანელობს თვით პროკურორი, არსებობს მისი ხელმძღვანელობით დელეგატთა ქალებში იურიდიული წრე. გაუკეთებია მოხსენება საქალაქო მილიციის და აღმასკომის კომუჯერედში რეგოლიუციურ კანონიერებაზე. თავის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გაუკეთებია ორ თათბირზე და დღეში მაზრის იუსტსახკომისარიატის მუშაკთა, მაზრალმასკომის, თემლმასკომების და მაზრის მილიციის წარმომადგენელთა პირველ კონფერენციაზე, რომელსაც დასწრებია იუსტსახკომისარიატის წარმომადგენელი ამხ. ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე. კონფერენციის მიერ მუშაობა მიღებულია დამაკმაყოფილებლად. პროკურორის მისვლა რაიონებში ხდება მოულოდნელად რომლისა გამო, არც გლახობას აქვს საშუალება უშუალოდ მიმართონ პროკურორს ამა თუ იმ განცხადებისა და რჩევა დარიგებისათვის.

მაზრის მილიცია.

მიკვლევის წარმოებაში აღმოჩნდა შემდეგი დეფექტები: დაკითხვის ოქმებზე არ არის აღნიშნული დრო დაკითხვისა, არის ხელის მოწერა დამკითხველისა, წარმართვა მოკვლევის ხდება უსწოროთ, მოკვლევა, რომლითაც ბრალი ედება ს. ს. კოდ. ისეთი მუხლით, რომლის

სამ. საპრ. კოდ. 7 მ. აქტივობას ავალებს მოსამართლეს, მაგრამ ანალიზი ამ მუხლისა სწორედ იმას გვიჩვენებს, რომ მოსამართლეს ევალება საქმის გარემოება (შეძლებისდაგვარად) სრულად გამოაშკარავოს, ხოლო ეს „გარემოებანი დადასტურებული უნდა იქნეს დამამტკიცებელი საბუთებით“.

რას ეს „დამამტკიცებელი საბუთები“? ეს არის მხოლოდ ის საბუთები, რომელსაც სცნობს საბუთად კანონი, რომელიც მოსამართლეს მოეპოვება და რომელზედაც შეიძლება დადგენილების დამყარება.

მაშასადამე, როდესაც მოსამართლესაც კი ევალება დავის გადაწყვეტა „იურიდიული სიმართლის“ მიხედვით და არა „ფაქტიური სიმართლის“, მით უმეტეს ვეკილს ვერ დაეკისრება ეს „ფაქტიური სიმართლე“ ექიოს და იკვლიოს.

თითქმის ასეთივე მდგომარეობაა სისხლის სამართლის საქმეში. ჩვენ სხვა დროს შევხებით საკითხს, თუ რამდენად შესაძლებელია და, თუ შესაძლებელია, — რა მოსაზრებით, საერთოდ დასჯა მოქალაქისა რამე ქმედობისათვის ეკონომიური მატერიალიზმის თვალსაზრისით. შეიძლება აქ საჭირო შეიქნეს მოგონება ძველი დავისა დეტერმინიზმის და ინდეტერმინიზმის შესახებ.

სისხლის სამართლის საქმეში სახელმწიფოს სახელით სავამომძიებლო ნაწილი აგროვებს მასალას ბოროტმოქმედების შესახებ და როდესაც დარწმუნდება მოქალაქის ბრალეულობაზე, საქმეს გადასცემს სასამართლოს სასჯელის გამოსატანად.

აქ ასპარეზზე გამოდის იურისტი, ვეკილი, დამცველი. ბრედებული მას აცნობს თავის მდგომარეობას და ეკითხება: როგორ უნდა მოიქცეს, რა მოელის, რა ეშველება?

სოც. დაცვის ღონისძიება აღემატება 1 წელს მილიცია უშუალოდ სასამართლოში გზავნის მიუხედავად ს. ს. ს. კოდ. 105 მუხ. 3 პუნქ., რომ ასეთი ხასიათის მოკვლევები მათ უნდა გამოუგზავნონ გამომძიებელს შემდეგი განკარგულებისათვის, აგრეთვე არა მოსასპობ მოკვლევებს უგზავნიან პროკურორს. ზემოაღნიშნული გარემოებანი ადასტურებს მათი ცოდნის სისუსტეს. მილიციაში არ არსებობს რაიმე წერილობითი საბუთი, თუ როდის ჰქონია ადგილი პროკურორის მიერ მათი მუშაობის დათვალიერებას და რა წინადადებები ან განმარტებები იყო მიცემული.

გ ა მ ს ა ხ ლ ი.

გამსახლში აღმოჩნდა სულ 27 პატიმარი, პატიმრები გამოსტქვამენ უკმაყოფილებას ულუფის ნაკლებობაზე, მათ ეძლევათ დღეში 13 1/2 კაპ. სურსათ სანოვაგე. გამსახლში არ არის მოწყობილი არავითარი ცეხი, არც კინოთეატრი, არც სამკითხველო არსებობს, წერა-კითხვის უცოდინარეობის ლიკვიდაციის მაცადინეობა შეწყვეტილია თანხის უქონლობისა — გამო.

ყოველივე ზემოთაღნიშნული დეფექტების თავიდან ასაცილებლად იუსტსახკომატის მიერ მიეცა ადგილობრივ მუშაკებს სათანადო მითითებანი და მიღებულ იქნა მთელი რიგი ზომებისა, რომლებიც აღმოფხვრიან მომავალში ასეთ არანორმალურ მოვლენებს.
ი. ს. კ. პროკურორი **ხ. ქავთარაძე.**

თუ აქამდე ბრალდებული არ გამოტყვილა დანაშაულში, აშკარაა, იგი ვეჭილთანაც არ გატყდება. აქაც იგივე სურათია: ვეჭილმა არ აცის «ფაქტიური სიმართლე», მას სწამს ბრალდებულის სიტყვა და სიმართლე და ამ რწმენით იგი ეცნობა საქმეს, ე. ი. ეცნობა იმ საბუთებს, რომელიც დაუჯრავებია გამოძიებელს და რომლითაც შეიარაღებულია პროკურორი.

ვეჭილს არც აქ შეუძლია და არც აქ ევალება იძიოს და იკვლიოს „ნამდვილი სიმართლე“, იგი არც იკვლევს რასმე საერთოდ, იგი მხოლოდ ანალიზს უკეთებს საბრალდებლო მასალას.

უწინარეს ყოვლისა პროკურატურა ვალდებულია, რაკი საქმე მან სასამართლოს გადასცა, დაუმტკიცოს ბრალდებულს ბრალდება ურყევი საბუთებით, ხოლო თუ პროცესი მას ამ რწმენას შეუტყვის, იგი უარს ამბობს ბრალდებაზე და ამტკიცებს უდანაშაულობას.

მეორე მხრით, ბრალდებულს უფლება ეძლევა ებრძოლოს პროკურორის მიერ წარმოდგენილ საბუთებს და მოსაზრებებს და მას უფლება აქვს ყოველნაირად იცრუოს სასამართლოში. ამ უფლებას ბრალდებულისას, რომ მას შეუძლია სიმართლე არა სთქვას, იცრუოს, გზა-კვალი დაუბნოს სასამართლოს, სცნობს ბურჟუაზიული სამართალი და ამასვე სცნობს საბჭოთა სამართალი.

იმ რწმენით, რომ ბრალდებული მართალს არ იტყვის (რასაკვირველია იმ შემთხვევაში, როდესაც არ სტყდება), ბურჟუაზიული სასამართლო არაფერს არ ჰკითხავს მას საქმის გარემოების შესახებ მას შემდეგ, რაც პირველ კითხვაზე—სცნობს თავს დანაშაუვდ თუ არა—უარყოფითი პასუხი მიიღო.

საბჭოთა სასამართლოც სწორედ იმავე რწმენით, რომ ბრალდებული სიმართლეს არ იტყვის, უდიდეს მნიშვნელობას აძლევს თვით ბრალდებულის დაკითხვას. პროკურორიც იმ მიზნით ატარებს კითხვების ცეცხლში ბრალდებულს, რომ ამხილოს, გამოაშკარავოს იმის დანაშაული.

ვინაიდან არც ბრალდებული სტყდება და არც პროკურორი უჯერებს, აქ არის აშკარა ბრძოლა: ერთი სცდილობს (და ვალდებულიცაა) ბრალეულობა დაამტკიცოს, მეორე სცდილობს (უფლება აქვს) თავი იმართლოს, არღვიოს ბრალდება, ებრძოლოს საბრალდებლო მასალებს.

ახლა ვეჭილი. ვეჭილი, ვიმეორებთ, იცნობს მხოლოდ „იურიდიულს სიმართლეს“, ხოლო „ნამდვილ სიმართლეს“ იგი იცნობს მარწმუნებელის (საუტხოვო ტერმინია) სიტყვით. ვეჭილს არც ძალუძს და არც ევალება ეს „ნამდვილი სიმართლე“ იძიოს.

ვეჭილის, დამცველის დანიშნულებაა იმის დამტკიცება, რომ საბრალდებლო მასალა უფარგისია. რასაკვირველია, დამცველი და პროკურორი ვერასოდეს ვერ მივიდოდნენ ერთ დასკვნამდე, დავას ვერ გადასწყვეტდნენ, რომ საქმეში ისეთი ორგანო არ ერიოს, რომელსაც მინიჭებული აქვს უალრესი ავტორიტეტი—ეს არის სასამართლო.

მაგრამ სასამართლოს დადგენილებით მართლა ის „ნამდვილი სიმართლე“, „ფაქტიური სიმართლე“ კი არ დაგვიჭერია, არამედ კანონმდებელი გვეუბნება, რომ ეს ასეა, და ჩვენც ვალდებულნი ვართ მისი ბრძანება „ნამ-

დვილ სიმართლედ“ მივიღოთ (სასამართლოს დადგენილებას ხომ კანონის ძალა და მნიშვნელობა აქვს).

ამას შემდეგ ადვილი გადასაწყვეტია საკითხიც: როგორ უნდა მოიქცეს დამცველი, თუ იგი დარწმუნდება ბრალდებულის დანაშაულზე? უნდა განაგრძოს დაცვა, თუ მიაწვდის თავი ბრალდებულს?

არავითარ შემთხვევაში ბრალდებულის მიტოვება დამცველს არ შეუძლია და არა მარტო მორალური მოსაზრებით, არამედ კანონის ძალითაც.

წარმოვიდგინოთ, რომ პროცესის დროს ბრალდებული გამოუტყდა დამცველს დანაშაულში. ამის შემდეგ ვეჭილი უტყდება სასამართლოს, რომ მას არ შეუძლია დაცვა და თხოულობს განთავისუფლებას. ისეთი დამცველი პასუხისმგებაში უნდა იქნეს მიცემული, მაგრამ ასეთი შემთხვევა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული არ არის სამწუხაროდ. რას ნიშნავს, რისი მაჩვენებელია, ასეთი საქციელი დამცველისა? არსებითად ეს არის უარის თქმა დაცვაზე და ბრალდებულის წინააღმდეგ მოწმედ გამოსვლა, მეორე როგორი საზიზღარი სახით?! ვერც ჰმედავს განცხადებას ბრალდებული გამოძიება და იგუბიტურად კი აბეზღებს სასამართლოს წინაშე ბრალდებულს.

შეიძლება რომელიმე ეთიკა აიძულებს დამცველს დაცვაზე უარი სთქვას, თუ დარწმუნდა და სხვა? არავითარი ეთიკა და მორალი აქ „შუაში არ არის, ვინაიდან დამცველი სასამართლოში მოწოდებულია არა „ფაქტიური სიმართლის“ საძებრად, არც დამცველს, არც პროკურორს და არც სასამართლოს აბსოლუტური სიმართლის მოძებნის საშუალება არა აქვსო, ხოლო საბოლოოდ საკითხს სწყვეტს სასამართლოს ავტორიტეტი. დამცველი სასამართლოს დამხმარეა, მაგრამ არა „ფაქტიური სიმართლის“ ძებნაში, არამედ „იურიდიული სიმართლისა“. იგი ანალიზს უკეთებს პროკურორის არგუმენტაციას, საბრალმდებლო მასალას და ეუბნება სასამართლოს: ეს არ დაიჯერო ამიტომ და ამიტომო. დამცველს აქ მხოლოდ ის ევალება, რომ სასამართლოს შეგნებულად იურიდიულ ცნებათა ყალბი განმარტება არ მიაწოდოს და არ დაამახინჯოს ის ფაქტები, რაც საქმეშია.

მაშ ვის ევალება „ნამდვილი სიმართლის“ გამორკვევა? მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს, რომელიც ესოდენი მოთმინებით და ინტერესით ადევნებს თვალყურს მხარეთა ბრძოლას. კიდევ საკითხი: უნდა იკისროს თუ არა დამცველმა ისეთი ბრალდებულის დაცვა, რომელიც თავიდანვე გამოუტყდა მას დანაშაულში?

დამცველი სრულიად თავისუფალია მოიქცეს ისე როგორცა სურს. კანონი მას არ უკრძალავს იკისროს დაცვა ასეთს შემთხვევაშიაც. კანონით გათვალისწინებული სახაზინო დაცვა იმის საბუთია, რომ დამცველს შეუძლია ყოველგვარი საქმე აიღოს.

წარმოვიდგინოთ, რომ ბრალდებულმა ვერ იშოვნა დამცველი შეთანხმებით, იგი იძულებულია ითხოვოს სახაზინო დამცველი და ხელისუფლება უნიშნავს დამცველს, ე. ი. თვითონ კისრულობს დაცვას. ორში ერთია: ან ყოველივე საქმის დაცვა შეიძლება, ანდა ხელისუფლება იცავს უზნეო საქმეს,—tertium non datur, მესამე მდგომარეობა არ არსებობს.

შეიძლება სთქვან: სახაზინო დაცვაზედაც შეიძლება უარის თქმაო. არ მგონია, რომ დამცველს ჰქონდეს უფლება

უარი სთქვას სახაზინო დაცვაზედ იმ მოსაზრებით, რომ საქმე „ჭუჭყიანია“ ან იმიტომ, რომ მას ბრალდებული გამოუტყდა. მეორე მხრით, ეს დაუშვებელია იმიტომ, რომ ჰქმნის ხელისუფლებისთვის გამოუვალს მდგომარეობას. მართლაც, საქმეში გამოდის პროკურორი, მაშასადამე კანონით უნდა დაშვებული იქნეს დამცველიც, ხოლო გამოირკვა, რომ სახელმწიფოში დამცველი არ ყოფილა. ან უნდა მოიხსნას პროკურორიც (ეს კი დაუშვებელია, რადგან სასამართლომ იგი საჭიროდ სცნო) და ან ვინმემ უნდა იკისროს დაცვა. ასეთია ეს გრძნეული წრე.

რასაკვირველია, შესაძლებელია ისეთი მდგომარეობაც, როდესაც არც დამცველია, არც პროკურორი. ამ შემთხვევაში ბრალდებული, დამცველი და მოსამართლე ერთ პიროვნებაში სახიერდება, ასეთი მოვლენა ნორმალურ მოვლენად არ მიგვაჩნია. ერთი იმიტომ, რომ იგი გულისხმობს აბსოლუტურს ობიექტივობას, რაც შეუძლებელია ადამიანისათვის. მეორე მხრით აქ ფარულად შეპარებულია საბრალმდებლო ნაწილი, ხოლო მოხსნილია დაცვა, ვინაიდან გამოძიებელი და მისი საბრალმდებლო დანასაკვი ხომ იგივე ბრალდებაა და არა დაცვა. მრავალი სხვა ნაკლიც აქვს ასეთს სისტემას და ამიტომაცაა, რომ იგი დროებითი მოვლენაა რევოლუციურს ხანაში და განმტკიცებული ხელისუფლება უმაღლე სცვლის ამ სისტემას სასამართლოში მხარეების მონაწილეობით.

რა შეადგენს სასამართლოს იდეალს ან როგორი უნდა იყოს იდეალური სასამართლო? სასამართლოს იდეალია რაც შეიძლება მეტად დაუახლოვდეს „ფაქტიურს სიმართლეს“. ის სასამართლოა იდეალური, რომელიც შესძლებს საუკეთესოდ გამოარკვიოს „ფაქტიური, ნამდვილი სიმართლე“.

იურიდიულმა მეცნიერებამ ჯერ-ჯერობით მხოლოდ ეს ხერხი იცის სიმართლის გამოაშკარავებისა: მოკვლევა და წინასწარი გამოძიება და სამოსამართლო გამოძიება პროკურორისა და დამცველის მონაწილეობით. პროკურორი და დამცველი არის ის ორი აზრი, რომელთა შეჯახებით გზას იკვლევს სასამართლო. სადაც არ არის ეს ორი თვალსაზრისი, იქ არ არის სასამართლო, რომელიც შესაძლებლობის ფარგლებში ობიექტიურად უნდა სწყვეტდეს საკითხს, არამედ არის ცალმხრივი ორგანიზაცია: ან საბრალმდებლო ფუნქციის და ან დაცვის ჰიპერტროფიით.

ამრიგად სასამართლოში დამცველი იცავს „იურიდიულს სიმართლეს“ და ამით ეხმარება სასამართლოს რათა უკანასკნელმა „ფაქტიური სიმართლე“ თუ ვერ დაიჭირა, მიუახლოვდეს მაინც მას.

მაშასადამე, არ ასებობს „ჭუჭყიანი“ საქმე და დაცვა შეიძლება ყოველი ბრალდებულისა, ვინაიდან არ არის ისეთი დამნაშავე, რომლისათვის შეწყალების თხოვნა უზნეობა იყოს.

ბ. დადიანი.

საკასაციო ინსტანციაში საქმის ახალ გარემოებაზე მითითება*)

არსებულ წესების თანახმად და მოქმედ სასამართლოების პრაქტიკის მიხედვით უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულო საკასაციო წესით შემოსულ საქმეების განხილვისას მხედველობაში იღებს მხოლოდ იმ მასალას, რაც დაგროვილი იქნა საქმეში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ და არ მსჯელობს იმ საბუთებისა და ახალ გარემოებათა შესახებ, რომლებიც საკასაციო საჩივართან ერთად იყო მისთვის წარდგენილი:

ერთი შეხედვით სამოქ. სამ. საპ. კოდ. 237 მუხ. „ბ“ პუნქტის და სისხ. სამ. საპ. კოდ. 412-416 მ. მ. მოქმედების პირობებში მოხსენებული გარემოება ნორმალურია და საკასაციო ინსტანციის სხვანაირად მოქცევა არც შეუძლია: მიზანშეწონილობის, საქმის ვაჭიანობის აცილებისა და კანონიერების გამტკიცებისათვის კი ასეთი მდგომარეობის გაგრძობა და მისი საბოლოოდ დაკანონება სრულიად მიუღებელია და აი რატომ. უდავოა, რომ საკასაციო ინსტანცია საქმეს არსებითად არ იხილავს, მაგრამ ეს გარემოება კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ საქმის განხილვისას საკასაციო საკრებულომ შეიბოჭოს, თავი საკასაციო საჩივრის დებულებათა გადასინჯვით და სარევიზიო წესით, მხარის მიუთითებლად, არ შეამოწმოს მთელი, საქმეში დაგროვილი მასალა. გამოარკვიოს სასამართლოს პირველი ინსტანციის მიერ მისი შეფასების საკითხი და გამოასწოროს ყველა ის დეფექტი, რაც ამ უკანასკნელის მიერ იყო დაშვებული საქმის არსებითად განხილვის დროს. იმის საჭიროება, რომ საკასაციო ინსტანციის მოღვაწეობას ასეთი მიმართულება ჰქონდეს განსაკუთრებული სიცხადით არის აღნუსხული სისხ. სამ. საპ. კოდ. 411 და სამოქ. საპ. კოდ. 245 მ. მ. ამგვარად ჩვენ არა გვაქვს წმინდა საკასაციო ინსტანცია ამ სიტყვის ვიწრო-ფორმალური გაგებით და საბჭოთა სასამართლოების სისტემაში სააპელაციო სასამართლოს უქონლობის გამო საკასაციო სასამართლო თავისი ბუნებითა და დანიშნულებით ნაწილობრივად ითვისებს სააპელაციო სასამართლოს ფუნქციებს. ასეთ პირობებში ცხადია გაუმართლებელი იქნება საკასაციო სასამართლოს მოქმედება უკეთუ მან უყურადღებოდ დასტოვა საკასაციო საჩივრის განხილვის დროს მხარის მიერ მისთვის წარდგენილი ისეთი ახალი საბუთი ან სხვა რაიმე გარემოება, რომელიც არსებითად სცვლის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას თუ განაჩენს, ე. ი. აშკარა უსამართლო იქნება, უკეთუ ხსენებულ საბუთის არსებობისას ძალაში იქნა დატოვებული განსაჩივრებული გადაწყვეტილება, ან განაჩენი. მართალია, საპროცესო კოდექსებით ვათვალისწინებულია სხვადასხვა შესაძლებლობანი ახალ-გარემოებათა გამო საქმის გადასინჯად, მაგრამ ისინი შეხებიან ისეთ საქმეებს, რომლებზედაც გადაწყვეტილება და განაჩენი კანონიერ ძალაში არიან შესული და კოდექსებში კონკრეტულათ არაფერია ნათქვამი, თუ როგორ უნდა მოქცეს საკასაციო სასამართლო, როდესაც მას აქვს ისეთი ახალი, არსებითი მნიშვნელობის საბუთი, რომელიც ძირფესვიანათ სცვლის პირველ ინსტანციის მიერ შეკრებილ მასალას. ვფიქრობთ, რომ საკასაციო სასამართლოს მოქმედება, როდესაც ასეთ პირობებში გამოაქვს დადგენილება სადაც ტრაფარეტულათ ნათქვამია, რომ „საკასაციო საჩივარი უშედეგოა უნდა იქნეს დატოვებული, რადგან საკასაციო ინსტანციაში ახალი საბუთების წარდგენა მიუღებელია და ეს უკანასკნელი ვერ განდება მისი მსჯელობის საგნათ“-ო, სრულებით მიღებულია და საბჭოთა საკასაციო სასამართლოების და-

*) დისკუსიის წესით.

ნიშნულების თვალსაზრისით დაუშვებელია. უზენაეს სასამართლოს პრაქტიკაში შევხვდებით ისეთ შემთხვევას, როდესაც საკასაციო საკრებულო უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილა, რადგან მას წარედგინა საქმის არსებითად გამჩრევე სასამართლოსათვის უცნობი ახალი საბუთი, რომლის შემდეგ განსაჩივრებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება ულოლიკობა იქნებოდა, და მან გაითვალისწინა რა ეს გარემოება, საქმე განსახილველად გადასცა უზენაეს სასამართლოს პლენუმს, ხოლო ამ უკანასკნელმა სრულებით სამართლიანად საქმე ისევ საკასაციო საკრებულოს დაუბრუნა იმის განმარტებით, რომ პლენუმი აქ არაფერ შუაშია, საქმე საკასაციო სასამართლომ უნდა განიხილოს და მოხსენებული ახალი საბუთი საფუძვლათ დაედვას მის დადგენილებას, უკეთეს არსებითი მნიშვნელობის საბუთად არის ჩასათვალი. საკითხის იმ გვარათ გადაჭრა, რომ საკასაციო ინსტანცია არას დროს არ უნდა შევიდეს ახალი საბუთის განსჯაში, დღევანდელ პირობებისათვის შეუსაბამოა და სასამართლოს ამგვარი პრაქტიკა გამოსწორებას მოითხოვს.—ჩვენ ვამბობთ, რომ უკეთეს მხარის მიერ საკასაციო საკრებულოში წარდგენილ იქნა ისეთი არსებითი მნიშვნელობის ახალი საბუთი მთლიანად საწინააღმდეგო და შემცველი სასამართლოს პირველი ინსტანციის მიერ მიღებულ დასკვნისა, ამ შემთხვევაში თუ მისი სინამდვილე არ იწვევს იჭვს, ის ყოველ მიზეზ გარეშე უნდა გახდეს საკასაციო ინსტანციის მსჯელობის საგნათ და დაამყაროს მასზე თავისი დადგენილება; ხოლო უკეთეს საბუთი და საერთოდ ახალი გარემოება, უცნობი სასამართლოს პირველი ინსტანციისათვის, საკასაციო ინსტანციაში რაიმე იჭვს და უნდობლობას გამოიწვევს, მთელი მასალა საკ. ინსტანციაში მხარის შუამდგომლობის თანახმად ან თავისი ინიციატივით უნდა გადასცეს პროკურატურას ახალ გარემოების ღირსება ნაკლოვანების გამოსარკვევად.

ყოველივე აღნიშნულიდან ცხადია, რომ საკასაციო საჩივრის განხილვის დროს საკასაციო ინსტანციის მოქმედება, რომ ის არ იხილავს მისთვის წარდგენილ ახალ საბუთს, სრულიად დაუშვებელია ეს იწვევს საქმის უმიზნო გაკვიანურებას, მოქალაქეთა მიერ ახალი ინსტანციების გამოძებნის ცდას და ძალზე არყვესკანონიერების საერთო სიმტკიცეს. დღეს, როდესაც გადაპჭრელი ბრძოლაა გამართული ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ და იღება ზომები პროცესის გამარტივებისათვის აუცილებლათ მიზანშეწონილი და დროული იქნება საკანონმდებლო გზით ჩვენს მიერ ზემოთ მოხსენებულ დებულების ცხოვრებაში გატარება.

ბ. ფურცხვანიძე

უ ი უ ი

109 და 111 მუხლი ს. ს. კ.

(პასუხი შოშიაშვილის წერილზე).

ამხ. შოშიაშვილი თავის წერილში ლაპარაკობს „ვოლაკიტაზე“ და აღნიშნავს, რომ მილიცია დატვირთულია მუშაობით და ისიც ისეთი მუშაობით, რომელიც თითქოს არ შეადგენს მის ფუნქციას, ამ მოსაზრებას საგსებით ვიზიარებ და ვიტყვი, რომ მილიცია მართლა ზედმეტად არის დატვირთული მრავალგვარი მუშაობით, რადგან

მილიცია არის ხელისუფლების ყველა ორგანოსათვის აღმასრულებელი ძალა და ეს მოვალეობა მას კანონით აქვს დაკისრებული. მაგალითად, ავიღოთ სსს. კოდ. 130, 455, 97, 233 მუხლები და ნათლად დავინახავთ, რომ სასამართლოს ხსენებულ მუხლების მიხედვით არ შეუძლიან არ დაავალოს მილიციას იმ საქმეების აღსრულება, რაც მას სჭირდება, მაშასადამე იმის თქმა, თითქოს ზოგიერთი დავალების აღსრულება მილიციას არ ეხებოდეს, არ არის მართალი, და რასაც სასამართლოები მას ავალბენ, ეს არის სრულიად კანონიერი. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მაზრის მილიციასა და იუსტიციის ადგილობრივ ორგანოთა შორის რაიმე დავა აღძრულიყო უკანანოდ რისიმე დავალების შესახებ, ამხ. შოშიაშვილი კი გამოსთქვამს საყვედურს, რომ მისთვის ძალიან საძნელია იუსტიციის ორგანოებთან კონტაქტური მუშაობა და ამის მიზეზად მას მიაჩნია ის, რომ იუსტიციის მუშაკები მას ჩვეულებრივ ენით არ ელაპარაკებიან და ფართოდ სარგებლობენ კოდექსის 109 და 111 მ. მ.

არ ვიცი რამდენად მართალია შოშიაშვილი, მაგრამ ერთი რამ კი ფაქტია; მილიცია ხშირად ვერ ასრულებს იუსტიციის ადგილობრივ ორგანოთა დავალებებს, მაგ. ა/წ. მარტში ქ. ბორჯომში დანიშნული იყო ს. ს. საქმე ბრალდებისა გამო. გ—ქესი. სამაზრო სასამართლომ ერთი თვით ადრე გაუგზავნა უწყება სამაზრო მილიციას ს. რეხაში (გორის რაიონი) მოწმისათვის ჩასაბარებლად; მილიციამ ეს უწყება გაგზავნა ბორჯომში; მილიციის უფროსმა უწყება გადაუგზავნა ხაშურის მილიციას; ხაშურის მილიციის უფროსმა სურამისას, ხოლო უკანასკნელმა კი გორის მილიციის უფროსს, ვინაიდან სოფ. რეხა შედის გორის რაიონში; გორის მილიციის უფროსმა უწყებაზე წააწერა, რომ დაგვიანების გამო ჩაბარება ვერ მოხდა და გაუგზავნა სამაზრო მილიციას. სამაზრო მილიციამაც წააწერა—შეუსრულებლობის გამო უწყება დაუბრუნდეს სამაზრო სასამართლოს აი სწორედ ამას ჰქვია დაუდევრობა და უგულვებელყოფა, ასეთი დაუდევრობით მილიციამ სამაზრო სასამართლოს დიდი ზიანი მიაყენა იმ მხრივ რომ სამაზრო სასამართლო გამოცხადდა ბორჯომში, გამოსწორებელმა სახლმა ჩაიყვანა იქ პატიმარი, ბრალდებულმა არ მოისურვა საქმის მოსმენა მოწმის დაუსწრებლად და ამ მიზეზით საქმე იქნა გადადებული. სახალხო სასამართლოებისაგან დაკისრებულ დავალებათაგან კი 60-70% რჩება მილიციის მიერ შეუსრულებელი და ამის გამო მრავალი საქმე დაუმთავრებელია, რაც იწვევს საქმის გაკვიანურებას.

ამხ. შოშიაშვილმა კარგად უნდა იცოდეს, რომ იუსტიციის ორგანოთა და მილიციის მუშაობა მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, ამ კავშირის გაწყვეტა შეუძლებელია საქმის უფნებლად, შოშიაშვილს კი, როგორც ეს მის წერილიდან სჩანს, უნდა დამოუკიდებლობა, ამხ. შოშიაშვილი რომ ჩერდება სისხ. სამ კოდ. 109 და 111 მუხლებზე და გამოსთქვამს ამ მუხლების შეფარდების შესახებ უკმაყოფილებას, მე ვფიქრობ, რომ მას მხედველობაში აქვს მილიციის ზოგიერთი თანამშრომლის უმართებულო საქციელი: ლოთობა, მკვლელობა და სხვ. რასაც მართლა ჰქონდა ადგილი გორის მაზრის სოფლებში. მილიციის მუშაკთა ასეთი უმართებულო საქციელი, მათ მიერ მოსახლეობის შევიწროვება და დევნა ბუნებ-

რედაქციის უკარგავს გლახობაში მილიციას ნდობასა და ავტორიტეტს.

შოშიაშვილი მოითხოვს იუსტიციისაგან რომ მან ურადლება მიაქციოს და თანაც განუმარტოს მოვალეობანი იუსტიციის დარგის მუშაკთ. მას ისიც უნდა აღემალოს, თუ რა უნდა განუმარტოს იუსტიციის კომისარიატმა თავის თანამშრომელთ, რა ნაკლს ხედავს ამხ. შოშიაშვილი იუსტიციის ორგანოთა მუშაობაში, ჩვენ კი ვიტყვი, რომ საჭირო არის ხელისუფლებამ შესაფერისი ზომები მიიღოს რათა შემდეგში მილიციელმა იცოდეს, რომ ის არის მშრომელი მასის დამცველი. საჭიროა მილიციის დარგში იყოს აღდგენილი აღმზრდელი მუშაობა და ამას კი სჭირდება კარგად მომზადებული ხელმძღვანელები, რადგან გლახის მსჯელობა მთავრობის ავტორიანობაზე მილიციის მოქმედებაზეა დამყარებული იმდენად, რამდენადაც გლახობა მილიციაში ხედავს სამთავრობო ხელისუფლების განსახიერებას.

ა. ვახივი.

ტარმინოლოგიის მასალისათვის. თვით მასალა.

3.

- Забастовка; — забастовать გაფიცულობა; გაფიცვა
- Забастовщик — გაფიცული
- Заблуждение — ცდომილება
- Забота — საზრუნავი
- Заботиться — ზრუნვა
- Заботливый — მზრუნავი, მზრუნველი
- Заботливость — მზრუნველობა
- Заведение — მომართულობა
- Заведывать, заведывание — მნეობა
- Заведывающий хозяйством — მნე
- Заведение промышленное — სამრეწველო მომართულობა
- „ торговое — სავაჭრო „
- Заведомо — წინასწარ ცნობით
- Заведомый — წინასწარ-ცნობილი
- Завещание — ანდერძი, ანდერძის წიგნი, ანდერძნამავი
- Завещатель — მოანდერძე
- Завещательный — საანდერძო
- Зависеть — დამოკიდება
- Зависимость — დამოკიდებულება
- Зависимый — დამოკიდებული
- Зависит от того... — დამოკიდებულია იმაზედ... (მაგ. „ჭაბუკონებაზედ ჰკიდა“)
- Завладение — დაუფლება, დაპატრონება (რის)
- Завладеть „ „ „
- Завод — ქარხანა
- Заводский — ქარხნური, საქარხნო
- Заводчик — მექარხნე
- Завоевание — დაპყრობა
- Заглавие — სათაური
- Заговор — შეთქმულობა
- Заговорщик — შეთქმული
- Заготовка — ნამზადი
- Заготовление — დამზადება

- За-границей — საზღვარ-გარეთ
- Загромождение — დახერგვა
- Загрузить — ჩატვირთვა
- Загрузка „
- Задание — მონაცემობა; დანასაქმი; დასაქმება
- Задаток — ბეჟ
- Задаточная росписка — საბელო ბარათი
- Задача — ამოცანა
- Задержание, задержать — დაკავება
- Задолжать — მოვალეობა
- Задолженность — დავალიანება
- Заем — სესხი
- Заемное письмо — სასესხო ბარათი
- Заемщик — მოსესხე
- Зажиточность — პოვნიერება, შეძლებულობა
- Зажиточный — პოვნიერი, შეძლებული, გაკეთებული
- Заика — ბლუ, ენა-ჩლოუნგი, ენა-ბრგვნილი
- Заикаться, заикание — ბლოობა, ენა-ჩლოუნგობა, ენაბრგვნილობა, — ენისკიდება
- Заимодавец — მესესხე, მსესხებელი
- Зажигательство — წამკიდებლობა
- За исключением — გარდა, გამოკლებით, გამორიცხვით
- Заказ — შენაკვეთი
- Заказный, — заказной შეკვეთილი, დაკვეთილი
- Заказчик — შემკვეთელი
- Закалять — წროთობა
- Закаленный — წროთობილი
- Заклад — გირაო
- Закладная — საგირავნო ან გირავნობის სიგელი
- Закладывать — დაგირავება
- Заключение (мнение) — დანასკვი (აზრის), დაბოლოება (საქმის, ამბის)
- Заклучение (в исправдом) — დამწყვედევა ან შემწყვედევა (გამსახლში)
- Заклученный — დამწყვედეული ან შემწყვედეული
- Заклучить — დამწყვედევა ან შემწყვედევა
- Заклучительный — დასკენითი; საბოლოო
- Закон — კანონი, რჯული, სჯული
- Законный — კანონიერი, რჯულიერი, სჯულიერი
- Законность — კანონიერება, რჯულიერება, სჯულიერება
- Законотворение — კანონმცოდნეობა, რჯულმეტყველება, სჯულმეტყველება
- Законотворец — კანონმცოდნე, რჯულმეტყველი, სჯულმეტყველი
- Законотворчество — კანონმცოდნეობა
- Законотворческий — კანონმცოდნეობის
- Законотворитель — კანონმდებელი
- Законотворительный — საკანონმდებლო
- Законотворчество — კანონმდებლობა
- Законотворческая власть — საკანონმდებლო ხელისუფლება
- Законотворение — კანონდებულება
- Законотворитель — კანონმდებელი
- Закром — ხეივანი
- Закрывать — დახურვა, დახშვა
- Закрывать — დახურული, დახშული
- Закрывать двери — კარების ან კარის დახურვა, დახშვა
- Закрывать заседание — დახურული ან დახშული სხდომა
- Закрывать — შესყიდვა

- Залог—საწინდარი, წინდი
 Залоговой—სასაწინდრო, საწინდო
 Залоговое свидетельство „ მოწმობა
 Залогодатель—დამწინდებელი
 Залогодержатель—მესაწინდრე
 Зал—დარბაზი
 Заманить შეტყუება, მიტყუება
 Заманчивый—შემტყუებელი, მომტყუებელი
 Замаскировать—მონიღბვა
 Замаскированный—მონიღბული
 Замахиваться,—замахнуться მოქნევა, მოღერება
 Земледеление—დაზმა
 Земедленный—დაზმული
 Зажевать;—зажевание მიმიჯვნა
 Зажеванный—მიმიჯნული
 Замена—შეცვლა; შენაცვლება
 Заменяющий—ნაცვალი
 Заместитель—მოადგილე
 Замечание—შენიშვნა
 Замечание на протокол—შენიშვნა ოქმისათვის
 Замечательный—შესანიშნავი
 Замешательство—არეულობა, არევიდარევა
 Замещение—ჩანაცვლება
 Замять (дело)—მიჩქმალვა (საქმის)
 Занимать (место)—დაკავება (ადგილის)
 Занимать (в долг)—სესხულობა
 Заниматься—მოსაქმეობა
 Занятие—ხელობა
 Заочно—თვალს უკან, ზურგს უკან, დაუსწრებლად
 Заочный—თვალსუკანითი, ზურგსუკანითი, დაუსწრებელი
 Заочное решение—დაუსწრებელი გადაწყვეტილება
 Заочный приговор „ განაჩენი
 Запоминание, запоминать—დავიწყება
 Запас, запасы—მარაგი; მარაგები
 Запасливость—მარაგიანობა; თავშენახულობა
 Запасливый—მარაგიანი, თავშენახული
 Запасный—სამარაგო; სამარაგო
 Запасный капитал—სამარაგო კაპიტალი
 Запасный заседатель—სამარაგო მსაჯული
 Запечатание, запечатать—დაბეჭდვა
 Запечатлеть,—შთაბეჭდვა
 Запирательство—გაუტყდომლობა, გაუტყებლობა, გამოუტყე-
 ხლობა
 Записка—ბარათი
 Заповедь—მცნება
 Заподозрить—ეჭვის მიტანა(ვიზედმე, რაზედმე)
 Заподозренный—ეჭვ-მიტანილი
 Запрет—აღკრძალვა, დაშლა
 Запретительный—აღკრძალველი, საყადალო
 Запретительная статья, книга—საყადალო მუხლი, დავთარი
 Запрещать, запрещение—აღკრძალვა, დაშლა, დაყადალება,
 ყადალა, ყადალის დადება, ქონების შეკვრა
 Запрещенный—აღკრძალული, დაშლილი, დაყადალებული,
 შეკრული
 За примирением сторон—მხარეთა შერიგების ან მორიგების
 გამო
 Запродажа—წინასწარი ნასყიდობა
 Запродажная запись—წინასწარი ნასყიდობის წერილი ან
 პირობა
 Запрос—შეკითხვა
 Заработная плата—ხელფასი, სამუშაო ქირა
 Заработок—სამუშაო, საშოვარი
 Заражение, заразить—შეყრა ან გადადება
 Заражение крови—სისხლის მოწამვლა
 Заразная болезнь—სახადი, გამამდები სენი ან სნეულება
 Заразный—გამამდები
 Заранее—წინასწარ, აღრითვე
 Заранее обдуманый—წინასწარ მოფიქრებული
 Заряд—მუხტი;
 Заряжать—გატენა
 Засада—სათარი
 Засаривать, засаривание—დანაგვიანება, ნაგვის მოღება
 Засвидетельствование—დამოწმება
 Засвидетельствовать—
 „
 Засвидетельствованный—დამოწმებული
 Заселять—დასახლება
 Заселенный—დასახლებული
 Заслуга—ნამსახურობა, ნამსახური
 Заслуживать, заслужить—დამსახურება
 Заслуженный—დამსახურებული
 Заслуживает снисхождения—ღირსია შეწყნარებისა
 Заслущать дело, доклад—საქმის, მოხსენების მოსმენა
 Засов—ურდული
 Застигнуть, застать—მოსწრება, მისწრება, დახვლება
 Застигнутый на месте или при совершении преступления
 დანაშაულის ადგილს ან დანაშაულის ჩადენისას მისწრე-
 ბული ან დახვლებული
 Застрахование, застраховать—დაზღვევა
 Застрахованный—დაზღვეული
 Застройка—ნაშენობა, (აღნაგობა)
 Заступать—შენაცვლება
 Заступающий место—მოადგილე, ნაცვალი
 Засуха—გვალვა
 Заседание, заседать—სხდომა
 Заседатель—მსხდომარე, მსაჯული
 Затвор—საკეტი
 Затруднение, затруднять—სიძნელე, გაძნელება
 Захват—მიმძლავრება
 Захватчик—მიმძლავრებული
 Зачатие—ჩასახვა, მუცლად ღება
 Зачеркнуть—წაშლა
 Зачесть—ჩათვლა, გაბარება
 Зачет—ჩათვლილობა, ჩანათვალი, განაბარი
 Зачинщик—მოთავე, დამწყები, ჩხუბის თავი
 Защита—დაცვა
 Защитник—დამცველი
 Защитительный—დამცველობითი; დასაცავი
 Защитный—მფარველი
 Заявка—განაცხადი
 Заявление—განცხადება
 Заявитель—განმცხადებელი
 Звук—ბგერა
 Звучание, звучать—ბგერება
 Звание—წოდებულობა

ქ რ ო ნ ი პ ა

იუსტიციის სახ. კომისარიატის კოლეგია

სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს დადგენილ-
ებით იუსტიციის სახალხო კომისარიატთან დაარსებულ
იქნა კოლეგია ამხ. ი. ვარძიელის (თავმჯდომარე), თ.
ლოლიძის, ა. ურუშაძის, ა. კაჭარავას და ი. როინაშვი-
ლის შედგენილობით.

ახალი წიგნები

იუსტსახკომის გამომცემლობით იბეჭდება და ამ დღე-
ებში გამოვა გასაყიდათ შემდეგი ახალი წიგნები: 1) „**მომქ-
მედი კანონმდებლობა**“ მემკვიდროებით და გაჩუქებით
გადამავალ ქონების გადასვლისა და მისი გადასახადით
დაბეგვრის წესების შესახებ“—რუსულ ენაზე—ი. პაიჭა-
ძისა და 2) „**ნასყიდობა**“—საქ. ს. ს. რ. სამოქ. სამართ-
ლის კოდექსის 180—205^ა მუხლების კომენტარი—ა. ალ-
ხოვისა.

ახალი განყოფილება

ჩვენი ჟურნალის უახლოეს ნომრიდან იხსნება ახალი
განყოფილება: „**იუსტიციის სახ. კომისარიატის კოლე-
გიის დადგენილებანი**“.

საუვედუროს გამომცხადება

ვინაიდან გამოირკვა, რომ უზენაეს სასამართლოს
საკასაციო საკრებულოს მდივნის თანამემწე კონსტანტინე
გვიჩია აძლევედა უსწორო ცნობებს „ქართულ მარგანე-
ცი“-ს თანამშრომელს—ვითომდა მათ მიერ წარმოებული
საქმე არ შემოსულიყო უზენაეს სასამართლოში, მაშინ
როდესაც ის შემოსული და უკვე განხილული იყო ა/წ.
აპირილს 7, რაც ნიშნავს საქმისმდმი არა სერიოზულ
მოპყრობას და რაც დასაგმობია, ამიტომ უზენაეს სასა-
მართლოს თავმჯდომარის ამხ. კაჭარავას ბრძანებით გვი-
ჩიას გამოეცხადა საყვედური.

გაზღანგვა ტფილისის მე-5 უბნის სახ. სასამართლოში

ქ. ტფილისის მე-5 უბნის სახ. სასამართლოს ყოფ.
მდივან არტ. სუსანოვის მიერ გაფლანგულია: 1) 1926
წლიდან დაწყებული სხვადასხვა სახის გამოსაღები—
2852 მან. 2) ბრალდებულთა გამოცხადების უზრუნველ-
საყოფლად წარმოდგენილი საწინდარი—500 მან. 3) სარ-
ჩელის უზრუნველსაყოფლად წირმოდგ.—355 მ. 4) ექს-
პერტების გასამრჯელო—45 მ. სულ—3752 მან. სუსანოვი
დაპატიმრებულია და კვლევა-ძიება სწარმოებს.

უ რ ს ტ ა

ქარელი. ი. კაციტაძეს. თქვენი წერილები დამცვე-
ლების შესახებ არ იბეჭდება. ნიხრი კარგა ხანია, რაც
არსებობს.

ჩხარი. ვ. აბესაძეს. თქვენი წერილი „ამხ.—ელ და
გ. საყვარელიძის წერილების გამო“ არ იბეჭდება, რად-
განაც რედაქციის კამათის გაგრძელება ამ საკითხზე მი-
ზანშეუწონლად მიაჩნია.

აქ. კ. ბაქრაძეს. თქვენი წერილი „პროცესის გა-
მარტივების შესახებ“ დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

- Звать—წოდება, ძახილი
- Звон—რეკა, წკარუნნი
- Звонить—რეკა, წკარუნება
- Звонок—ხარი, წკარუნა
- Здание—შენობა
- Здоровье—ჯანსაღობა, ჯანმრთელობა
- Здоровый—ჯანსაღი, ჯანმრთელი
- Земельный—საადგილ-მამულო
- Землевладение—მიწადმფლობელობა
- Землевладелец—მიწადმფლობელი
- Земледелец—მიწადმომქმედი
- Земледелие—მიწადმოქმედება
- Земледельческий—სამიწადმომქმედო
- Землемер—მიწისმზომელი
- Землепользование—მიწის სარგებლობა, მიწადსარგებლობა
- Землепользователь—მიწისმოსარგებლე, მიწადმოსარგებლე
- Землеустройство—მიწის მოწყობა
- Землеустроительный—მიწის მომწყობი ან მოსაწყობი
- Земля—მიწა, ადგილ-მამული
- Земский—საერობო
- Земство—ერობა
- Зло—სიბოროტე
- Злоба—ბოროტება
- Злобный—ბოროტეული
- Злодей—ბოროტმომქმედი
- Злодейство—ბოროტმოქმედება
- Злодеяние—ბოროტმოქმედება
- Злой—ბოროტი
- Злостный—ბოროტხმეული
- Злостность—ბოროტხმეულობა
- Злость—ბოროტობა
- Злоумышление—ბოროტმზრახველობა
- Злоумышленник—ბოროტმზრახველი
- Злонамеренность—ბოროტგანზრახულობა
- Злонамеренный—ბოროტგანმზრახა
- Злободневность—საბოროტდღეობა
- Злободневный—საბოროტდღეო
- Злоупотребление, злоупотреблять—ბოროტის ხმევა, ბორო-
ტის ხმარება
- Знак—ნიშანი
- Знаменитый—წარჩინებული, სახელგანთქმული
- Знамя—დროშა
- Знаменосец—მედროშე
- Знание—ცოდნა
- Значение—მნიშვნელობა
- Значительный—მნიშვნელოვანი
- Значительность—მნიშვნელოვანობა
- Золотник—მისხალი
- Золото—ოქრო
- Зона—ზონი
- Зрелище—სანახაობა
- Зрелость—მოწიფულობა
- Зрелый—მოწიფული
- Зрение—თვალთახედვა, მხედველობა, მხილველობა
- Зрения поле—მხედველობის არე
- Зрения точка—თვალსაზრისი
- Зримый ხილვადი
- Зритель—მხედველი, მხილველი, მაყურებელი
- Зрительный—სახილავი, სახილველი, მხედველობითი

კანონმდებლობის მიმოხილვა

აიიერ-კავკასიის სსრ კანონმდებლობა

1928 წ. მაისის 7-დან მაისის 20-მდე

კრედიტი

О порядке составления, рассмотрения и утверждения кредитных планов (ა-კ. ს. კ. ს-ის 1928 წ. აპრილის 19 დადგ. № 39—„ზარ. ვოსტ.“ მაისის 11 № 107). ყველა საკრედიტო დაწესებულებამ დირექტივა საკვარტალო საკრედიტო გეგმის შედგენისათვის უნდა მიიღოს არა უგვიანეს სათანადო კვარტალის წინა თვის 5 რიცხვისა ბანკის მიერ შედგენილი გეგმა არა უგვიანეს იმავე (კვარტალის წინა) თვის 10-ისა შეტანილი უნდა იქნეს საბანკო საქმეთა რესპუბლიკანურ თათბირში, ხოლო იქ, სადაც ასეთი თათბირი არ არსებობს—ფინანს-ხკომში. იმავე დროს საერთო საკავშირო ბანკების ფილიალები გეგმებს უგზავნიან ა-კ კანტორებს და სათანადო ნაწილებს—დანტრეგებულ უწყებათ. საბანკო საქმეთა თათბირები გეგმებს ინილავენ დანტრეგ-სტეული უწყებათა მონაწილეობით და არა უგვიანეს 12-ისა ჯუშულად უდგენენ რესპუბლიკანურ ეკოსოებს. ეკოსოები ინილავენ და საგეგმო კომისიების დასკვნის მიღების შემდეგ, ამტკიცებენ გეგმებს და არა უგვიანეს 15-ისა უდგენენ ა-კ. ეკოსოს. იმავე დროს ამ დამ-ტკიცებელი გეგმებს საბანკო საქმეთა თათბირები უგზავნიან ა-კ თა-თბირს ხოლო რესპუბლიკანური ფილიალები—ა-კ კანტორებს. ეს კანტორები ნაჯუშულ გეგმებს არა უგვიანეს 18-ისა უგზავნიან ა-კ თა-თბირს, რომელიც, დანტრეგებულ უწყებათა მონაწილეობით განხი-ლვის შემდეგ არა უგვიანეს 20-ისა ჯუშულ გეგმებს უდგენს ა-კ. ეკოსოს. ა-კ. ეკოსო, საგეგმო კომისიის დასკვნის მიღების შემდეგ, ამტკი-ცებს გეგმას და არა უგვიანეს 22-ისა უდგენს სსრკ სახ. საგეგმო კომ-ისიას და შრომისა და თავდაცვის საბჭოს. ამავე დროს დამტკიცებულ გეგმას თათბირი უგზავნის საბანკო საქმეთა კომიტეტს, ხოლო სა-კავშირო ბანკების კანტორები თავის გამგეობებს.

მრეწველობა

Об урегулировании кожевного рынка и производства в ЗСФСР (ა-კ. ს. კ. ს-ის 1928 წ. აპრილის 19 დადგ. —„ზარ. ვოსტ.“ მაისის 16, № 111). დადგენილება გამოცემულია სსრკ ს. კ. ს. ოს ა-წ-იანერის 27 დადგენილების აღსასრულეზღად (სსრკ კან. კრ. 1928 წ. № 9, მუხ. 80) ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთ, კოოპერატიული ორგანიზაციათ და კერძო პირთ ეკრძა-ლებათ რესპუბლიკანური ს. კ. ს. ო.-სნებადაურთველად ახალი ტყავის ქარხნების აგება და უკვე არსებულ ქარხნების კაპიტალურად შეკე-თება და მოწყობილობის შეცვლა. სახელმწიფო ტყავის ქარხნების იჯა-რით გაცემა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო ტყავის ტრესტზე და სარეწავი კოოპერატიულ ორგანიზაციაზე. (უკვე დადებული ხელშე-კრულების ძალა რჩება ვადის გასვლამდე) შემდეგ რესპუბლიკანურ ს. კ. ს-ოებს დირექტივები ეძლევათ დაკისრონ ს. მ. უ. ს-ებს სატრიე სტო ქარხნების საწარმო ასორტიმენტის და საქონლის გადათვალ-ერება საბუთების საბაზრო პირობებისათვის შესაგუებლათ; ადგ-ლობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო ქარხნების მართლოდენ გლე-ხური (ე. წ. აზიური) საქონლის დამუშავებაზე დაყენება; ტყავის მრე-წველობის მთლად დაგეგმვა; ცალკე არტელების და შინამრეწველობის მიზნად სამრეწველო კოოპერაციის შენაერთების სისტემაში; სასანიტარო სატეხნიკო კომისიების მოწყობა ტყავის ქარხნების და ნედლეულის საწყობების დასათვალეირებლად; ღონისძიების შემუშავება სახელმ-წიფო ქარხნებზე სპეციალური ადგილობრივი საგლეხო ფესსაცემ ლების გასაკეთებლად და სხვა. დირექტივები ა-კ. ვაჭრობის საბკომსაც მიეცა.

მშენებლობა

О результатах строительного сезона на 1926—27 (ა-კ. ს. კ. ს-ის 1928 წ. მარტის 30 დადგ.—„ზარ. ვოსტ.“ მაისის 8, № 104). ეკოსოებს დირექტივები მიეცათ 1926-27. ანგარიშების წარდგენის საქმის მოგვარების შესახებ, კვალიფიციური სამუშაო ძალების რაცი-ონალურად გამოყენების შესახებ სამშენებლო სამუშაოს და სამშენი მასალის ფასების დაკლების შესახებ და სხვ.

ფინანსები

О формах балансовых сводов доходов и расходов, проводимых по единому государственному бюджету ЗСФСР обще-

федеративному бюджету и бюджетам республик, входящих в ЗСФСР (ა-კ. ს. კ. ს-ის 1928 წ. აპრილის 12 დადგ.—„ზარ. ვოსტ.“ მაისის 19, № 114). დადგენილება ეხება 1927-28 წ. ბიუჯეტს.

О едином сельско-хозяйственном налоге на 1928-29 окладной год в ЗСФСР (ა-კ. ს. კ. ს-ის 1928 წ. მაისის 10 დადგ. № 40 „ზარ. ვოსტ.“ მაისის 12, № 108). ეს დადგენილება, შეეხება იმ საგ-დასახადო საკითხებს, რომელთა მოგვარებაც, ერთიანი სასოფლო-სა-მეურნეო გადასახადის დებულებით, მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობას მიენდო.

საქართველოს სსრ კანონმდებლობა

1928 წ. მაისის 7-დან 20-მდე.

არგია

ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების მოვალეობის შესახებ ტერიტორიალური ჯარების საჭიროებათა დაკმა-ყოფილების სფეროში (სრ. საქ. ც. ა. კ. ის და ს. კ. ს-ის 1928 წ. აპრილის 18 დადგ. № 19—კან. კრ. 1928 წ. № 6, მუხ. 43). ცვა-ლებადი შედგენილობის ტერიტორიალური ჯარების მთელი მუშაობა-რაც კი ყველა იმ განსაზღვრულ რაიონის სამხედრო გადიდებულ მოსახლეობაზე ვრცელდება სადაც ჯარის ნაწილების შეგება სწარ-მოებს, განხორციელებულ უნდა იქნეს იმ რაიონის ყველა საბჭოთა ორგანოს უშუალო და შეთანხმებულ მონაწილეობით. დადგენილებაში გარკვევით გათვალისწინებულია მხრადმასკომის, სახ. განათლების ადგილობრივი ორგანოს, ჯამრთელობის საბჭომის ადგილობრივი ორგა-ნოს, ადგილობრივი საადგილიმამული ორგანოს, და თემსკომის მოვა-ლეობა ამ დარგში. ამას გარდა, დადგენილია, რომ ყველა საბჭოთა ორგანო მოვალეა თავის მუშაობის გეგმაში გაითვალისწინოს ყვე-ლგვარი სამუშაო, რაც კი დაკავშირებულია ტერიტორიალური ჯა-რის მუშაობასთან.

სახალხო განათლება

სტუდენტთა „დამხმარე კვირეულის“ მოწყობის შესა-ხებ (სრ. საქ. ც. ა. კ.-ის 1928 წ. მაისის 11 დადგ. № 29—„კომ-უნისტი“ მაისის 12, № 108). რესპუბლიკის ყველა ქალაქში მაისის 13—დან—20—მდე მოწყობილი უნდა იქნეს სტუდენტთა „დამხმარე კვირეული“

შრომა

ურილობისა, კონფერენციისა, პლენუმისა და თა-თბირის მონაწილეთა საწარვლინებო სარგოს შესახებ (სრ. საქ. ც. ა. კ.-ის 1928 წ. აპრილის 18 დადგ. № 21—კან. კრ. 1928 წ. № 6, მუხ. 45). დადგენილება დამყარებულია ა-კ. ც. ა.-კის 1927 წ. ოქტომბრის 25 დადგენილებაზე (რაც აწერილი გვექონდა ჩვენი ჟურნალის 1-ლ №-ში, გვ. 17) და ცოტაოდენი ცვლილებით იმორებს მას საქართველოს მასშტაბით.

სამუშაო საათების განმავლობაში თათბირებისა და კრებების მოწვევის აკრძალვის თაობაზე გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ (საქ. ს. კ. ს-ის 1928 წ. აპრილის 18 დადგ. კან. კრ. 1928 წ. № 6, მუხ. 47). გაუქმებული დად-გენილების შინაარსი მოყვანილი გვექონდა ჟურნალის მე. 8 №-ში, გვ. 210)

ინსტრუქცია ა-კ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა-კ. სფხრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წ. სექტემბრის 5-ს დამტკიცებულა სოფლის მოსახლეობის საგზაო შრომის ბეგარის დებულების შეფარდებისათვის (სრ. საქ. ც. ა. კ.-ის 1928 წ. მარტის 30 —კან. კრ. 1928 წ. № 6, მუხ. 46).

კრედიტი

საგლეხო მეურნეობათა ვალის ჩამოწერის შესახებ (საქ. ს. კ. ს-ის. 1928 წ. აპრილის 24 დადგ.—„კომუნისტი“ მაისის

17, № 112). დადგენილება გამოცემულია სსრკ ც. ა. კ-ის 1927 წ. აპრილის 15 მანდატის (სსრკ კან. კრ. 1927 წ. № 61, მუხ. 613). და ც. ა. კ-ის და ს. კ-ის 1927 წ. ნოემბრის 2-დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1927 წ. № 61, მუხ. 618) თანახმად. ჩამოწერილად უნდა ჩაითვალოს საგლეხო მეურნეობათა მთელი ის ვალი, 1927 წ. ნოემბრის 7-თვის გადაუხდელო, რაც მათ 1924—26 წ. სტიქიური უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციისთვის სესხად მიეცა საკრედიტო ამხანაგობების მეშვეობით ს. კ. ს-ის მიერ სასოფლო-სამეურნეო ბანკისათვის გაცემული თანხებიდან. ჩამოწერილია იმავე თანხებიდან ყოფილი „წარმოკავშირისათვისაც“ მიცემული სესხიც. სასოფლო-სამეურნეო ბანკს წინადადება ეძლევა გაუსწოროს ანგარიში საკრედიტო ამხანაგობებს რომლებმაც თავიანთი ვალი საკუთარი სახსრით დაფარეს.

ფინანსები

საქალაქო მიწების რენტის გადასახდევინებლად ქალაქების დაყოფის შესახებ (საქ. ს. კ. ს-ის 1928 წ. აპრილის 21 დადგ. კან. კრ. 1928 წ. № 6, მუხ. 50). დადგენილება გამოცემულია თანახმად სსრკ ს. კ. ს-ის 1928 წ. იანვრის 2 დადგენილებისა „ქალაქების კლასებათ დაყოფისა და რენტის უდიდესი განკვეთების დაწესების საფუძვლების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1928 წ. № მუხ) და ა-კ ს. კ. ს-ის 1927 სექტემბრის 19 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქებად მდებარე მიწის ნაკვეთებისათვის რენტის გადახდევინების წესებს. საქართველოს სსრ ქალაქების, მათი ეკონომიური მდგომარეობის და მოსახლეობის მიხედვით, საქალაქო მიწების რენტის გადასახდევინებლად დაყოფილია რვა კლასად და ამ კლასების მიხედვით დაწესებულია რენტის უმაღლესი უკიდურესი განაკვეთები.

ავტომობილების მოძრაობის თაობაზე არსებული პარიზის საერთაშორისო კონვენციის თანახმად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფ უცხო მოქალაქეთა ავტომობილების და მოტოციკლეტების თვითმოძრავი ეკიპაჟების ადგილობრივი გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ (სრ. საქ. ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ის 1928 წ. მაისის 4 დადგ. № 28—„კომუნისტი“ მაისის 9, № 105). განთავისუფლებული უნდა იქნენ იმ უცხო მოქალაქეთა ავტომობილები და მოტოციკლეტები, რომელნიც უცხოეთის

სავტომობილო საზოგადოების წევრები არიან და საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან არა უმეტეს 12 თვის განმავლობაში დღიდან საქართველოს ტერიტორიაზე მოსვლისა.

სასამართლო

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სასამართლოს წყობილებების დებულებას 103 და 104 მუხ. შეცვლის შესახებ (სრ. საქ. ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ის 1928 წ. აპრილის 18 დადგ. № 20,—კან. კრ. 1928 წ. №6, მუხ. 44). სამაზრო და სანალხო სასამართლოები, მათი რევიზიის, პირადი შემადგენლობის და მათთვის დირექტივების მიცემის მხრივ თანასწორად დაექვემდებარენ უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმს (ისე, როგორც წინად ოლქის სასამართლოები ექვემდებარებოდნენ).

სასამართლო დაწესებულებათა ზედამხედველობის სფეროში უზენაეს სასამართლოს პრეზიდიუმს უნდა მიეცა: ამ სასამართლოს კოლეგიებისა და რესპუბლიკის ყოველი სასამართლოს განაჩენისა, გადაწყვეტილებისა და დადგენილებისა ზედამხედველობის წესით გაუქმების ან შეცვლის გამო იმ საკითხების წინასწარი განხილვა, რასაც სისხლის სამ. საპრ. და სამოქ. სამ. საპრ. კოლეგიების წესისამებრ, შეიტანენ ც. ა. კ-ის პრეზიდიუმი, უზენაესი სასამართლოს თამჯდომარე და მისი მოდგილე, რესპუბლიკის პროკურორი ან უზ. სასამართლოსთან, განწესებული მისი თანაშემწე, აგრეთვე ის პირი, ვინც თავმჯდომარეობდა კოლეგიის სხდომაზე, და ამ კოლეგიის პროკურორი. თუ საჭირო არ იქნება პრინციპიული განმარტების მიცემა, პრეზიდიუმს უფლება აქვს არ შეიტანოს საქმე უზენაესი სასამართლოს პლენუმში და გამოიტანოს დადგენილება ზედამხედველობის წესით. განაჩენისა, გადაწყვეტილებისა ან დადგენილების გაუქმების შესახებ და საქმე ხელახლა განხილვისათვის სათანადო კოლეგიას გადასცეს.

უზენაეს სასამართლოს პლენუმს სხვათა შორის ეკისრება ამ სასამართლოს პრეზიდიუმის იმ დადგენილების განხილვა და დამტკიცება, რაც შეეხება მსამართლო და საკასაციო კოლეგიის და რესპუბლიკის ყოველ სასამართლოს განაჩენისა, გადაწყვეტილებისა და დადგენილების გაუქმებას ან შეცვლას (წინად ეს უფლება მხოლოდ განაჩენებს ეხებოდა), რომელსაც უზ. სასამართლოს გადასცემს ც. ა. კ-ის პრეზიდიუმი, უზ. სასამართლოს თამჯდომარე და რესპუბლიკის პროკურორი ან რომელზედაც პროტესტს შეიტანს კოლეგიის თამჯდომარე ან პროკურორი.

რედაქციის სიტყვა.

1. რედაქცია სთხოვს ავტორებს გვიგზავნონ ხელთნაწერები ან მანქანასე გადაბეჭდილი, ან დაწერილი სუფთა ხელით ფურცელის ერთ გვერდზე.
2. რედაქცია იტოვებს რედაქციულ შესწორებების და შემაჯობების უფლებას, თუ არ არის ავტორის ჰირდაზირი წინახდმდეგობა.
3. დაწუნებულ მსხალას რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ცირკულარი № 6.

ვევლა სახალხო სასამართლოებს განაჩენების გამოტანის შესახებ

მთელი ის გარემოება რაც სასამართლო გამოძიებამ გამოარკვეა ოქმის ამ სახით შედგენას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს და სწარმოებდეს მოსამართლის უშუალო ხელმძღვანელობით, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია დამახინჯდეს ფაქტები და სასამართლო საქმის ნამდვილი ვითარების საწინააღმდეგო დასკვნამდე მიიყვანოს.

ს. ს. ს. რ. უზენაეს სასამართლოს
თამაჯდომარე ა. კაჭარავა

ამონაწერი

ს. ს. ს. რ. უზენაეს სასამართლოს პლენუმის 1928 წ. 28 აპრილის სხდომის ოქმიდან.

უზენაეს სასამართლოს თამაჯდომარის წინადადება, რათა გადასინჯულ იქნეს უზენაეს სასამართლოს 1926 წ. 10-11 აპრილის განმარტება მიწის კოდექსის 40, 41 და 47 მ. მ. შესახებ-იმ მხრივ, რომ კომლის ქონების გაყოფის საკითხი მიწის კოდ. 47 მუხ. მიხედვით იქნეს გადაჭრილი.

მიიღო რამხედველობაში, რომ მიწის კოდ. 40 მუხ. თანახმად კომლის წევრებათ ითვლებიან განუზრგველად წლოვანებისა როგორც სახლში მყოფი მისი მონაწილენი, ისე სამუშაოზე დროებით წასულნი, და კანონიერი წესით ამოუბრუნებელი პირნი, რომ მიწის კოდექსის 41 მუხლის თანახმად უფლება მიწაზე, მენობებზე და სასოფლო სამეურნეო ინვენტარზე, რაც კომლის განკარგულებაშია ეკუთვნის კომლის ყველა წევრს ერთად, სქესისა და წლოვანების განუზრგველად, რომ მიწის კოდექსის ზემოთ მოყვანილი 40 და 41 მ. მ. განისაზღვრება იურიდიული ბუნება და თავისებურება კომლის ქონებისა იმ გვარათ, რომ ის განუყოფელ კუთვნილებას შეადგენს კომლის ყველა წევრს ერთად, „მთელი შემადგენლობისას“, როგორც მთლიანი სამეურნეო სუბიექტის, და არ არის გათვალისწინებული შესაძლ ებლობა იმისათვის, თითქმის კომლის წევრებს თანასწორი წილი ქონდესთ აღნიშნულ ქონებაში, რომ ამ რიგით კომლის ქონებას არავითარი საერთო არა აქვს, საერთოდ საკუთრების კონსტრუქციასთან (სამოქ. კოდ 61-65 მ. მ.), რომელიც გულისხმობს საერთო საკუთრებაში თითოეულ მონაწილის განსაზღვრულ წილს, რომ მიწის კოდ. მე-47 მუხ. გათვალისწინებულია კომის გაყოფა, რაც გულისხმობს კომლის შემადგენელ ოჯახებსა ან წევრთა შორის განუზრგველად სქესისა და წლოვანების ცალკე სარგებლობისათვის მიწებისა და საერთო ქონების განაწილებას ითუ-ლისწინებს ნაცვლად წინანდელ მთლიანი კომლისა ორს ან მეტხალ ეკონომიურათ გამაგრებულ სასოფლო მეურნეობის შექმნას; რომ მიწის კოდ. 47 მუხლის გამოთქმა „განუზრგველად სქესისა და წლოვანებისა“ იმ გვარათ უნდა იქნეს გაგებელი, რომ სამეურნეო მიზანშეწონილი-ლება არ დაიფაროს კომლის წევრთა შორის ამა თუ იმ ხასიათის პრი-ციპიალური უთანასწორობით.

ყოველივე მოხსენებულისა გამო უზენაეს სასამართლო სად-გილ-მამულო სასამართლო ორგანოების მუშაობაში მთლიან და ერთგვარი პრაქტიკის დაწესების მიზნით და გასაუქმებლათ უზენაეს სასამართლოს 1926 წ. 10-11 აპრილის განმარტებისა მიწ. კოდ. 40-41 და 47 მ. მ. ადგენს: განიზრტოს, რომ საადგილ მამულო სასამართლო ორგანოები კომლის ქონების გაყოფის დროს გარდა განს-ყოფ კომლის წევრთა რიცხვისა მხედველობაში უნდა იღებდნენ აგრე-დეთე იმ გარემოებას თუ რამდენათ ხანგრძლივი ან მნიშვნელოვანი იყო გასაკუფ კომლის ცალკე წევრების მონაწილეობა პირადი შრო-მით ან მატერიალურ საშუალებით გასაკუფ კომლის მეურნეობაში და ამის მიხედვით გამოარკვიონ თითოეული წევრის წილი ქონებაში; არ უნდა იქნეს დაშვებული ისეთი შემთხვევა, როდესაც გაყოფის დროს ერთა მხარე იღებს მეტს ვიდრე საჭიროა მის მეურნეობის-ათვის, მაშინ როდესაც მეორე ვერც იმას იღებს, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.—

რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო საკასაციო წესით სა-ხალხო სასამართლოების საქმეების განხილვისას მივიდა იმ დასკვე-ნამდე, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენები არ არის მათ მიერ სწორად ჩამოყალიბებული და მათში ბევრ ნაკლს აქვს ადგილი, განაჩენი ეს უარესი მნიშვნელობის მქონე სა-სამართლოს აქტი ბუნდოვანად იწერება, მათში სრულიად უმიზნო მრავალ სიტყვობას აქვს ადგილი და ხშირად მათგან ერთი მთლიანი დასკვნის გამოტანაც კი შეუძლებელი ხდება; ჩვენი სახალხო სა-სამართლოები ალბათ ფიქრობენ, რომ მათთვის საველდებულოთ არის გამხდარი ყოველ საქმეზე დადგინებების დასაბუთება და ეს გარემოება იწვევს მათი მუშაობისათვის იმ გვარი მნიშვნელო-ბის მიცემას, რომ გამოტანის ადრევე განსაზღვრულ გეგმით განილვა რა-მოდენიმე ფურცელზე თავისი შინაარსით ერთი მეორეს საწინააღმდე-გო დებულებებითა და სრულიად გაუმართლებელ ზედმეტი სიტყ-ვაობით—ყოველივე კრიტიკის გარეშე დგანან; გარდა სხვა მრავალ დეფექტებისა ასეთი გარემოების გაგრძობა წვევს სახალხო სასამართ-ლოების ზედმეტი მუშაობით დატვირთვას იმ მხრივ, რომ საქმეებზე განაჩენის გამოტანა იმ წესის მიხედვით, როგორც ეხლა არსებობს—ძალზე გვიანდება, საქმეების ადრევე განსაზღვრულ გეგმით განილვა ფერხდება რაც დაუშვებელია, ზედმონხეებულ სრულიად მიუღებელ მო-ვლენის გაძისასწორებლად უზენაესი სასამართლო წინადადებას გაძლ-ევით ამიერიდან საქმეების განხილვისას იხელმძღვანელოთ შემდეგი მითი-ობით: წესი სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანისათვის გათ-ვალისწინებულია სისხ. სამ. კოდ. 333, 334, 320 მ. მ.; განაჩენის საისტორიო ნაწილში უნდა აღინიშნოს საქმის სათაური, ბრალ-დებულისა და დაზარალებულის ვინაობა, მოკლეთ დაზარალებულს ბრალდებულის მიერ ჩადენილი ბოროტი ქმედობა (დრო, ადგილი, ხერხი და დანაშაულის სხვა დამახასიათებელი ნიშნები) და სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომლითაც ეყო კვალიფიკაცია დანაშაულს; ამით ამოიწურება განაჩენის საისტორიო ნაწილი და დაიწყება სარეზოლუციო, სადაც პირადად ბრალდებულის შესახებ სრულად მოიყვანება ყველა ის ცნობები, რაც გათვალისწინებული იყო უზენაეს სასამართლოს 1928 წ. № 1 ცირკულარში; სახელ-დობრ: ბრალდებულის სახელი, მიმის სახელი, გვარი (ან მეტი სახე-ლი ასეთი თუ აქვს) წლოვანება, პარტიული მიმართულება, კლას-სიური, სოციალური, ყოფ. წოდებრივი (თავადი, ახნაური, სამღვდე-ლო წოდების და სხვ.), ქონებრივი და ოჯახური მდგომარეობა და დაწვრილებითი ცნობა ბრალდებულის წინანდელი პასუხისგებაში ყოფნის შესახებ, შემდეგ ინიშნება სოციალური დაცვის ღონისძიების ზომა, ხარჯების განაწილება, წყდება სამოქალაქო სარჩელის საკითხი თუ ასეთი აღძრული იყო საქმეში, დამამტკიცებელ საბუთების შემდეგი დანიშნულება და განაჩენის და განსაჩივრების წესი. სარე-ზოლუციო ნაწილში დანაშაულის აღნიშვნა და საერთოდ საისტო-რიო ნაწილში მოხსენებული ცნობების გამეორება არ არის საჭირო; რაც შეეხება მხარეთა ახსნა-განმარტებიდან, მოწმეთა ჩვენებისა და ექსპერტის დასკვნებიდან (თუ სასამართლო ეთანხმება მას) მთელი წინადადების განაჩენში აღნიშვნა სრულიად მიუღებელია და საქმი-სათვის უსარგებლო. მოხსენებული ფაქტური მასალა უნდა იტა-ნებოდეს მართლად სასამართლოს სხდომის ოქმში, რომელსაც, დადგარება განაჩენი და უშუალოდ ლოდიკურად მისგან გამომდი-ნარე იქნება; განაჩენი ყოველ მიზეზს გარეშე იმავე დღეს უნდა გა-მოიტანოს სასამართლომ—რა დღესაც არსებითად განიხილა საქმე რაც შეეხება სასამართლოს სხდომის ოქმებს—უნდა აღინიშნოს, რომ არც მათი ეხლანდელი წარმოება არის მისაღება; ბუნდოვა-ნებას, აზრთა გაუგებრობას, სიტყვების დამახინჯებას და სხვ. ნაკლ-მრავლად აქვს მათში ადგილი; სხდომის ოქმები განსაკუთრებული სის-წორით უნდა სტეგებოდეს და ნათლად გამოხატავდეს ყოველივეს რაც სასამართლოს სხდომაზე იქნა გამოიმუღვენებული; ოქმში შეძლების დაგვარად ვრცლად და გარკვევით უნდა აღინიშნოს მხარეთა ახსნა განმარტება, მოწმეთა ჩვენება, სამოქალაქო სარჩელის საკითხი და

გამომცემელი:
სამ. ს. ს. რ. იუსტიციის
სახალხო კომისარიატი.



პასუხისმგებელი რედაქტორი: ი. ვარძიელი.
სარედაქციო კოლეგია: ა. კაჭარავა, თ. დლიძე,
ა. ურუშაძე, ი. როინიშვილი, პ. როფ. შ. ნუცუბიძე,
ს. ჯაფარიძე, კ. მიქელაძე, პ. ქავთარაძე.